619
1978



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა

მაისი
№ 5 1978 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მხატვარი თენგიზ სამსონაძე

**გზა, რომლითაც მიდიოდა და მიდის საქართველო, ეს არის ხალხთა მთელი ჩვენი დიდი თანამეგობრობის გზა.**

**ლ. ი. ბრეჟნევი**

1978 წლის 14 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმი.

პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ“.

ძირითადად მოწონებული იქნა კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი იმ დამატებებით, დაზუსტებითა და შესწორებებით, რომლებიც შეტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების მიხედვით. პლენუმმა დაადგინა, შეტანილ იქნეს კონსტიტუციის პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის განსახილველად.

14 აპრილს თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიამ.

მიმდინარე წლის 15 აპრილი საქართველოს ისტორიაში შევა როგორც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი. ამ დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიამ ერთსულოვნად მოიწონა დეკლარაცია „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ“.

დეპუტატები ერთხმად იღებენ საქართველოს სს რესპუბლიკის კანონს „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ძალაში შესვლის წესის შესახებ“.

სესიაზე პირველად შესრულდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი რედაქციით დაწერილი ჰიმნი.

სესიის მონაწილეებმა ტაშის გრიალში დიდი აღმაფრენით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი.

კომუნიზმისაკენ მძლავრი ნაბიჯით მიმავალი მზიური საქართველოს ახალი კონსტიტუცია 1978 წლის 15 აპრილიდან ძალაში შევიდა.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულებით

# საქართველოს სსრ ჰიმნი

მუსიკა ო. თაქთაქიშვილისა

ტექსტი ალ. აბაშელისა და გრ. აბაშიძისა

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ,
გმირთა კერა ხარ განახლებული,
დიად პარტიის ნათელი აზრით,
ლენინის სიბრძნით ამაღლებული.
შენი ოცნება ასრულდა,
რისთვისაც სისხლი ღვარეო,
მშრომელი კაცის მარჯვენით
აყვავებულო მხარეო.
დიდი ოქტომბრის დროშის სხივებმა
შენ გაგინათეს მთები ჭაღარა,
თავისუფლებამ და შემართებამ
გადაგაქციეს მზიურ ბაღნარად.
მოძმე ერების ოჯახში
ამაღლდი, გაიხარეო,
მეგობრობით და გმირობით
გამარჯვებულო მხარეო.
უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი
აზრი, ხმალი და გამბედაობა,
დღეს საქართველოს ნათელ მომავალს
სჭედს ლენინური წრთობის თაობა.
კომუნიზმის მზე დაგნათის,
კაშკაშა მოელვარეო,
იდიდე მრავალჟამიერ,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ახალი რედაქცია გრ. აბაშიძისა

15863

# მილოცვები ერთმანეთს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

# დეკლარაცია

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც საქართველოს სსრ ხალხის სახელით მოქმედებს და მის სუვერენულ ნებას გამოხატავს, იღებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციას (ძირითად კანონს) და აცხადებს, რომ იგი ძალაში შედის 1978 წლის 15 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1978 წლის 15 აპრილი.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა

რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებას უპასუხებენ იმით, რომ კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, კიდევ უფრო თავდადებით შრომობენ ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

ითხვისის მაღაროთა სამმართველოში ერთ-ერთ ბრიგადას ვხელმძღვანელობ. მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად დაუფლებული ვარ მებიგის, მბურღავის, ამფეთქებლის, მეელმავლის პროფესიებს.

მეცხრე ხუთწლედის დავალება 1973 წლის ივნისში შევასრულე, მეათე ხუთწლედის გეგმა კი 1975 წლის 6 ნოემბრისათვის გავანაღდე. იმ დღიდან მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში ვმუშაობ.

ჩვენი რესპუბლიკის ახალმა კონსტიტუციამ მეტი ძალა და მონდომება შემმატა. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ ჩემი მეთერთმეტე ხუთწლედი სამ-ნახევარ წელიწადში შევასრულო.

ეს იქნება ჩემი მადლობა კომუნისტური პარტიისა და სამშობლოსადმი.

**გიორგი ბაქრაძე,**
ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს ბრიგადირი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიამ 1978 წლის 15 აპრილს ერთხულოვნად მიიღო და დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია.

ეს თარიღი ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში. ხალხის სუვერენული ნების გამომხატველმა ახალმა კონსტიტუციამ მძლავრი სტიმული მისცა საქართველოს მშრომელებს, კიდევ უფრო აამაღლა მათი შემოქმედებითი ძალები, გაზარდა სოციალისტური შეჯიბრების გაქანება, მეტი ძალა და შემართება შემატა საზოგადოებრივი ცხოვრების აქტივიზაციას.

საერთო სიხარულს ჩემი ხმაც მინდა შევუერთო, მინდა მადლობა ვუძღვნა კომუნისტურ პარტიას მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე შეუნელებელი ზრუნვისათვის, ჩვენი კიდევ უფრო ნათელი, იმედიანი, რწმენით აღვსილი მომავლის ბრძნული მეგზურობისათვის.

პარტიის ზრუნვას თავდადებული შრომით ვუპასუხებთ. მწამს, თითოეული ჩვენგანი ძალასა და ენერგიას არ დაზოგავს სკპ XXV ყრილობის მიზანდასახულობათა წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

**დავით ყურაშვილი,**
ცაგერის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალმა კონსტიტუციამ, რომელშიც ყველა მშრომელის აზრი, სურვილი, მისწრაფებაა ჩაქსოვილი, სიხარულით აავსო გული.

შარშან, მართლაცდა, სასახელოდ ვიშრომე. გეგმით გათვალისწინებული 144 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად 200 ცენტნერი მარცვლეული ვაწარმოე, გადაჭარბებით შევასრულე აგრეთვე სხვადასხვა ბოსტნეული კულტურის მოყვანის გეგმებიც.

ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში სიხარულს სიხარული მოსდევს! შარშან დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავი ვიზეიმეთ, საბჭოთა ხალხმა მიიღო ახალი კონსტიტუცია — კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის მანიფესტი...

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი ზეიმობს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლას.

ზეიმს შრომითი მიღწევებით ხელდამშვენება შვენის. დამკვრელურ წელს სამშობლოს 250 ცენტნერ სიმინდის მარცვლეულს მივცემ, გავზრდი შაქრის ჭარხლის, ხახვის, სასილოსე ნედლეულის წარმოებას.

**ოფელია ჩირქეზიშვილი,**
კასპის რაიონის სოფელ სამთავისის კოლმეურნე, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს სიამაყის გრძნობით აევსო გული, რომ ერთხმად იქნა მიღებული და დამტკიცებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციაში აისახა და გამოვლინდა ჩვენი ხალხის უდიდესი მიღწევები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, საბინაო თუ სასკოლო მშენებლობის დარგში. ახალი კონსტიტუცია არის ჩვენი ეკონომიკური ძლიერების მაჩვენებელი წიგნი, სადაც ადამიანის შრომა და გარჯა დიდად არის დაფასებული.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მესამე საამწყობო საამქროს მუშათა შორის კონსტიტუციის ერთსულოვნად მიღებამ დიდი აღფრთოვანება და შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია.

ჩვენ უფრო ენერგიულად და მონდომებით ვიშრომებთ, ჩვენს წვლილს შევიტანთ მეათე ხუთწლედის მესამე წლის გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

**გურამ თანიაშვილი,**
კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მესამე საამწყობო საამქროს ამწყობი ზეინკალი.

გულდასმით გავეცანი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციას.

ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში ნათლად არის გამოხატული ჩვენი რესპუბლიკის განვითარების ეროვნული თავისებურებები. იგი კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა ურღვევი მეგობრობის მკაფიო და მრავლისმეტყველი გამოვლინებაა.

პედაგოგი ვარ და, ცხადია, დიდი ყურადღებით გავეცანი ახალი კონსტიტუციის 48-ე მუხლს, რომელიც მოქალაქეთა განათლების უფლებას შეეხება.

სიამაყის გრძნობით შემიძლია ვთქვა, რომ კაპიტალისტური სამყაროს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ მოქალაქეთა სწავლა-განათლებაზე ისეთ დიდ და განუზომელ ზრუნვას, როგორსაც ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში იჩენენ.

ახალმა კონსტიტუციამ, ყველა მშრომელთან ერთად, მეტი ძალა შეგვმატა პედაგოგებს. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, გაორკეცებული ენერგიით ვიშრომოთ, კიდევ უფრო განათლებული, ყოველმხრივ სრულყოფილი მომავალი თაობა აღვუზარდოთ კომუნიზმის მშენებელ დედასამშობლოს.

**თამარ ბურჯანაძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (497), მაისი, 1978 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა“, 1978

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სოციალისტური ინტერნაციონალიზმი

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა 180 წლის წინათ წამოაყენეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ეპოქალური იდეა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ეს ლოზუნგი მსოფლიოში პირველი ახალი ტიპის პარტიის — დიდი ლენინის ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთ მთავარ სახელმძღვანელო პრინციპად იქცა.

ვ. ი. ლენინმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპული დაპირისპირებულობა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისადმი ასე განსაზღვრა:

„ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — აი ორი, ურთიერთისადმი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში“ (თხზ. ტ. 20, გვ. 18).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევის, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაცემისა და სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნების წარმოშობის შედეგად პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გავრცელების მასშტაბები ისე გაიზარდა, რომ მან არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული, სახელმწიფოებრივი ფუნქციებიც შეიძინა. იგი მსოფლიო სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში დამკვიდრდა, სოციალისტურ ინტერნაციონალიზმად ჩამოყალიბდა, განვითარდა და ყოველმხრივ გამდიდრდა.

პროლეტარულმა ინტერნაციონალიზმმა თავის განვითარებაში სამი მთავარი ეტაპი იცის: 1) დიდი ოქტომბრის რევოლუციამდელი წლები (1848-1917) — მეცნიერული კომუნიზმის პირველი პროგრამული დოკუმენტის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოქვეყნებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე; 2). ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დაწყებიდან მსოფლიო სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბებამდე (1917-1950 წწ.); 3) ეტაპი იწყება 50-იანი წლებიდან და დღესაც გრძელდება.

პირველ ეტაპზე პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მოიცავდა მსოფლიო მუშათა კლასის, ყველა ქვეყნის მშრომელთა და იმპერიალიზმის უღელქვეშ მყოფი ხალხების სოლიდარობას ექსპლოატატორული კლასების ბატონობის დამხობისა და რევოლუციების გამარჯვებისათვის, ჩაგრულ ერთა და ეროვნებათა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მეორე ეტაპზე პროლეტარული ინტერნაციონალიზმი განვითარების ახალ პერიოდში შედის, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ახალ, სახელმწიფოებრივ ფუნქციას იძენს: სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქებსა და ოკრუგებს შორის, ჩვენი ქვეყნის ასზე მეტ ერსა და ეროვნებას შორის, ძმური მეგობრობის დამყარების გზით სოციალისტურ ინტერნაციონალიზმად ყალიბდება.

მესამე ეტაპი — ეს არის სოციალიზმის მსოფლიო სისტემის პირობებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სახელმწიფოებრივი ფუნქციების არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი გაფართოებისა და მისი სოციალისტური გზით მძლავრი განვითარების პერიოდი.

ამრიგად, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი — ეს არის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განვითარების მაღალი საფეხური და მისი ცხოვრებაში განხორციელება. ახალი ვითარების სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების, მსოფლიო სოციალიზმის განმტკიცების, ურთიერთდაპირისპირებული კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ბრძოლის, სოციალიზმის გზაზე სულ უფრო მეტი ახალი ქვეყნების გადასვლის პირობებში.

**სოციალურ-ეკონომიკური** თვალსაზრისით სოციალისტური ინტერნაციონალიზმი გამოიხატება, უწინარეს ყოვლისა, იმ ხალხების ძმური ურთიერთდახმარებით, რომლებმაც ააშენეს ან წარმატებით აშენებენ სოციალიზმს და შექმნეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომლის საერთო ძალ-ღონით ძლიერების ზრდა და განმტკიცება გამორიცხავს კაპიტალიზმის რესტავრაციას.

**კლასობრივი, სოციალურ-პოლიტიკური** თვალსაზრისით სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ხასიათდება თვისებრივად ახალი მდგომარეობით მუშათა კლასისა, რომელმაც დაამკვიდრა თავისი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, ხელმძღვანელი როლი საზოგადოებაში და ძმური მეგობრობა მშრომელ მასებთან როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

**საერთაშორისო ურთიერთობის** თვალსაზრისით სოციალისტური ინტერნაციონალიზმი გამოხატავს: ა) ყველა ქვეყნის მუშათა კლასის, მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების სოლიდარობას; ბ) კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის ძმურ ურთიერთობას; გ) სოციალიზმისა და სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებს შორის ლენინურ თანამეგობრობას, თანასწორუფლებიან სახელმწიფოებრივ თანამშრომლობას; დ) სოციალიზმის ქვეყნების ხალხთა, მსოფლიო მუშათა კლასისა და მშრომელთა მილიონების მხარდაჭერას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული ხალხებისადმი.

კომუნისტური და მუშათა პარტიები სოციალისტური ინტერნაციონალიზმის როლის გიგანტური ზრდის თანამედროვე ვითარებაში სულ უფრო ფართოდ ავითარებენ, ახალი დებულებებით ამდიდრებენ მარქსიზმ-ლენინიზმს, რომელიც თავიდან ბოლომდე ღრმად ინტერნაციონალური, მთელ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი, ძლევამოსილი იდეოლოგიაა.

მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სოციალისტურ განვითარებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეაქვს ჩვენს პარტიას.

„პარტიამ მიაღწია იმას, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის 50 წლისთავზე, — რომ ინტერნაციონალიზმი მცირერიცხოვან კომუნისტთა იდეალიდან იქცა ყველა ერისა და ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანის ღრმა რწმენისა და ქცევის ნორმად. ეს საზოგადოებრივ შეგნებაში ნამდვილი რევოლუციური გადატრიალებაა“ (ლენინური კურსით, ტ. 4, გვ. 67).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებს ემყარებოდა ყველა საბჭოთა კონსტიტუცია. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით კი სოციალისტურმა ინტერნაციონალიზმმა, როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უშუალო გაგრძელებამ და შემდგომმა განვითარებამ, სახელმწიფოებრივი კანონის ძალა შეიძინა, რაც მძლავრ ზემოქმედებას ახდენს და აღრმავებს ბურჟუაზიული დემოკრატიზმისა და ყველა ჯურის ნაციონალიზმის კრიზისს. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს და თანამედროვეობა ადასტურებს, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ანტიპოდები: ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, შოვინიზმი, რასიზმი, აპარტეიდი და ყველა ამდაგვარი „თეორიები“ ძალას კარგავენ, უწინარეს ყოვლისა, რეალური სოციალიზმის პრაქტიკით, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დამკვიდრებითა და ფართოდ გავრცელებით.

განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციით დაკანონებულია, რომ კომუნისტური პარტიის მეთაურობით საბჭოთა ხალხი ხელმძღვანელობს კომუნიზმის იდეებით, ერთგულია თავისი რევოლუციური ტრადიციებისა და ისწრაფვის კიდევ უფრო განავითაროს სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

„საბჭოთა კავშირი, — ხაზგასმით აღნიშნულია ახალ კონსტიტუციაში, — როგორც სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილი, ავითარებს და ამტკიცებს მეგობრობას და თანამშრომლობას, ამხანაგურ ურთიერთდახმარებას სოციალიზმის ქვეყნებთან სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპის საფუძველზე, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკურ ინტეგრაციასა და შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში“ (გვ. 17).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სოციალისტურ განვითარებას ემსახურება ისიც, რომ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებმა უკვე მიიღეს ახალი კონსტიტუციები, რომლებიც სავსებით შეესაბამებიან სსრ კავშირის კონსტიტუციას და ყოველმხრივ ითვალისწინებენ რესპუბლიკების თავისებურებებს.

ჩვენი ცხოვრების კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია. მასში ხაზგასმულია ის უდიდესი ინტერნაციონალური მნიშვნელობის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკად შედის სსრ კავშირის შემადგენლობაში, რომელიც „განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივ ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობისათვის“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი სტატიაში „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“ეხება რა სსრ კავშირის კონსტიტუციის დიდ ინტერნაციონალურ მნიშვნელობას, ხაზგასმით წერს:

„უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ახალ კონსტიტუციას წვლილი შეაქვს სოციალიზმის მშენებლობის თეორიასა და ინტერნაციონალურ პრაქტიკაში, როცა ამდიდრებს მათ ისტორიაში პირველი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზაციის გამოცდილებით.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობის კიდევ ერთი ასპექტი ის არის, რომ მისი ფორმა და შინაარსი ემსახურება ხალხთა მშვიდობის, უშიშროების საქმეს, მთელი პროგრესული ძალების ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის განმტკიცებას“ (გვ. 22, 26).

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარეს, ნამდვილი სოციალისტური ცხოვრების წესს. იგი კანონმდებლურად ამკვიდრებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის — საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის ლენინურად გადაწყვეტის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მსოფლიო სოციალიზმისა და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობებში მოპოვებულ მიღწევებს.

დღეს ჩვენი პლანეტის მრავალ რეგიონში ყალიბდებიან ტომებიდან ეროვნებანი, ეროვნებებიდან ერები და მრავალეროვანი ხალხები, რომელთათვის საბჭოთა ხალხს როგორც ახალ ისტორიულ, სოციალურ-ინტერნაციონალურ ერთობას უდიდესი მნიშვნელობის მაგალითის ძალა აქვს.

დიდი ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს ახალი საბჭოთა კონსტიტუციით დაკანონებულ ისეთ დებულებას, როგორიც არის ყველა რასისა და ეროვნების მოქალაქეების თანასწორუფლებიანობა, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების ლენინური პოლიტიკა, მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დედაენის, სსრ კავშირის ხალხების მშობლიური ენების გამოყენების უსაზღვრო შესაძლებლობა.

უდიდესი ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში ხაზგასმულია:

„მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობების დაწესება, ისევე როგორც რასობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა ან უგულებელყოფის ყოველგვარი ქადაგება კანონით ისჯება“ (გვ. 19).

**პროფესორი გრიგოლ გრძელიძე**

# დიდი ილია





ილია ჭავჭავაძე ეკუთვნოდა იმ დიდ ადამიანთა, ერის იმ სულიერ წინამძღოლთა რიცხვს, რომელთა სახელებს საქართველოში მუდამ განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობით წარმოთქვამენ. ვის არ განუცდია განუმეორებელი აღფრთოვანება, როცა ბავშვობის წლებში პირველად წაუკითხავს მისი „მესმის,მესმის", ან „ტყემ მოისხა ფოთოლი". ის უცნაური სანეტარო განცდა ადამიანს მისდევს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ყოველი ახალი გადაკითხვა ამ ლექსებისა, ყოველი ახალი შეხვედრა ილიას წიგნებთან, ყოველი ახალი გაგონება მისი პოეტური ხმისა, ამ ლექსებს რომ შეუნახავთ, ხელახლა განგაცდევინებთ ადრინდელ სიხარულს, თითქოს ამ ლექსებს პირველად კითხულობდეთ.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება იყო მოქალაქეობრივი, პატრიოტული პოეზიის შესანიშნავი ტრადიციის სრულყოფილი განსახიერება. 1860 წელს, ოცდასამი წლის ჭაბუკმა უკვე კარგად იცოდა, რომ პოეტმა არ შეიძლება იმღეროს „ვით ფრინველმა გარეგანმა", რომ ის ქვეყნად მოსულია „არა მარტო ტკბილი ხმებისთვის", რომ ის მოვალეა „წარუძღვეს წინ ერს", ერის მოძმედ იყოს „ჭმუნვასა და სიხარულში", ერის წყლული თავის წყლულად მიაჩნდეს, მისი ტანჯვით სული ეწვოდეს, მისი უბედობით მტკიცე გული ედაგებოდეს.

და რა იყო მთელი ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა, თუ არა გაუთავებელი ბრძოლა, უკომპრომისო და შეურიგებელი ჭიდილი ავბედით სინამდვილესთან. მართლაც, მოწოდების ზარივით გუგუნებდა საქართველოში მისი ხმა და აფხიზლებდა გონებას, სწვავდა ადამიანის გულს საქვეყნო დარდითა და ტკივილით. მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებს, სახელოვან თერგდალეულებს პოეტად არც მიაჩნდათ ის, ვინც, ამავე დროს, მებრძოლი არ იყო. ე. წ. „წმინდა პოეზია", იგეთი პოეზია, რომელიც გამოთიშული იყო ცხოვრებისაგან, რომელიც საზოგადოებრივი აზრის საკეთილო მოძრაობას გზას არ აძლევდა, — სამოციანი წლების დიდი მოღვაწეების სასტიკი განკიცხვის საგანი იყო; მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა ილია ჭავჭავაძემ უიდეო პოეტებს, როცა ეს სტრიქონები დაწერა: „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელით უკუაგდოს პირი თავისი ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს თავისი გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო სტვენა დაიწყოს და აღარ გაათაოს, ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესას, ეგებ ცრემლი მოიმჩვიდესო. დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის".

ასე მკაცრად ჰგმობს ილია ჭავჭავაძე უიდეო, აპოლიტიკურ პოეზიას, ე. წ. „წმინდა" ხელოვნებას და სამაგიეროდ, დიდების ჰიმნს უძღვნის იმ პოეტებს, რომლებიც პირველნი გადაეშვებიან ხოლმე ცხოვრების მღუღარებაში, ალვიძებენ ადამიანის აზრს, მხარდამხარ მისდევენ ცხოვრებას და მომავალსაც განსჭვრეტენ, შესწევთ ძალა, რომ ამ მომავალს აწმყოშივე დაუდონ მტკიცე ფუძე.

ილიას მთელი შემოქმედების შესწავლის, მისი შინაგანი ბუნებისა და პოეტური ტემპერამენტის ამოსაცნობად განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება მის „მგზავრის წერილებს", ამ მართლაც საპროგრამო ნაწარმოებს, სადაც ილიამ მებრძოლი ადამიანის, მებრძოლი პოეტის სიმბოლოდ თერგი აიღო.

„მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გალვიძებული ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის; იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა", — წერდა ილია.

„მგზავრის წერილებში" ილია ჭავჭავაძე სახავს საქართველოს ნაციონალური და სოციალური განთავისუფლების პერსპექტივას და ამ პრობლემათა გადაჭრის გზას ის სწორედ რევოლუციაში ხედავს.

„სიტყვამ „რევოლუცია" არ შეგაშინოს, მკითხველო! — წერს ილია ხსენებულ ნაწარმოებში, — რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირდაიროს და მერე დაწმინდდება ხოლმე. ასეა ყველაფერი ამ ქვეყანაზე".

მართლაც ბრძნული სიტყვებია, მართლაც გენიალური განსაზღვრაა იმისა, თუ რას წარმოადგენს რევოლუცია. იქნებ ვინმეს ეგონოს, რომ ეს ილიასათვის მხოლოდ ჭაბუკური გატაცება იყო. არა, ეს იყო მთელი მისი ცხოვრების ყველაზე მაღალი მიზანი. მუდამ ამ აზრს, ამ რევოლუციას დასტრიალებდა პოეტის ფიქრი, ეს იყო მისი ყველაზე სანუკვარი ოცნება არა მარტო სიჭაბუკის წლებში, არამედ მთელ სიცოცხლეში.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშივე, იმ დღეებიდანვე, როცა ილია ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, იგი სათავეში ჩაუდგა ყველა ცოცხალ ძალას, ყოველივე ახალს, აღმოცენებადს. ის აშიერიდან თავისი ქვეყნის მესაჭე ხდება, რათა თავის ხალხს ისტორიული მსვლელობის გზაზე წაუძღვეს, ყველა წყალქვეშა ლოდს ააცილოს. ისტორიამ მას მეტად მძიმე ტვირთი წამოჰკიდა. ის არ იყო მარტო პოეტად, მარტო ბელეტრისტად დაბადებული; ცხოვრების ყოველი უბანი საჭიროებდა და მოელოდა მზრუნველ პატრონს, გულშემატკივარს და ისიც ათასად უნდა გაჭრილიყო, რომ ყველა უბანს გასწვდენოდა, თვალი ყველგან მიედევნებინა, ქვეყნის ყველა წყლულისათვის მალამო და ყველა ჭირისთვის წამალი ეძებნა, ტანჯვის ცრემლი ჩამოეწმინდა დაჩაგრული მოძმისთვის, შებრძოლებოდა ქვეყნის მტერს ყველა ფრონტზე — ესთეტიკაშიც და არქეოლოგიაშიც, ისტორიაშიც და ეკონომიკურ მეცნიერებაშიც. თვითონ დრო, ისტორიული ეპოქა, რომელიც განაპირობებს ადამიანის მთელ მოქმედებას, რა გინდ ბუმბერაზიც არ უნდა იყოს ის, მოითხოვდა ილიასაგან ყოფილიყო პოეტიცა და ფილოსოფოსიც, ისტორიკოსიც და ეკონომისტიც, ფინანსისტიც და ჟურნალისტიც... მას უნდა ეწერა ესთეტიკის უღრმეს პრობლემებზე, ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის საკითხებზე, და, ამავე დროს, ქართველ მევენახეთა გასაჭირზე, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველის ისტორიაზე და, ამავე დროს, ოძისის სამეურნეო სკოლაზე. ქართულ რომანტიზმზე და, ამავე დროს, საგლეხო, გამსესხებელ შემნახველ საზოგადოებაზე და მოკლევადიან კრედიტზე. და ის ყველგან ღრმად კომპეტენტური იყო, მისი სიტყვა ყველგან ბრძნული იყო და რჩევა — ხელსატაცი.

ჩვენ განზრახ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ცალკეული საკითხები, რომელნიც თითქოს დაშორიშორებულნი არიან ერთიმეორისაგან. მაგრამ აქ იმ საკითხთა მეასედიც არ არის აღნუსხული, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე ეხებოდა. აბა, დაასახელეთ ერთი უბანი ცხოვრებისა, სადაც არ სწვდებოდა მისი თვალი; უაღრესად ფართო იყო წრე საკითხებისა, რომელნიც მას აღელვებდნენ, აფიქრებდნენ, რომელნიც მის საზრუნავად გადაქცეულიყვნენ. არ იყო არც ერთი ტკივილი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, რომელიც ამ შესანიშნავ ადამიანს თავისად არ მიეღო, რომელიც მას საკუთარ ტკივილად არ მიეჩნია და მის დაყუჩებაზე არ ეზრუნა. მთავარი ის არის, რომ ყოველი ნაბიჯი მწერლისა, ყოველი მისი წერილი ზუსტად არის გამიზნული, ყოველი სტრიქონი ერთი სუნთქვით არის გამთბარი, ერთ დიდ მიზანს ემსახურება,—ეს მიზანია ასწავლოს ხალხს, წინ სავალი გზა გაუნათოს; გრძნობთ, რომ ამას წერს ადამიანი, რომელსაც ცხოვრების უმაღლეს მიზნად ხალხის უფლებებისათვის ბრძოლა და მისი ტანჯვის შემსუბუქება დაუსახავს.

მართლაც განსაცვიფრებელია ეს უნივერსალიზმი, ეს მრავალმხრივი განსწავლულობა, ეს აზრის სიძლიერე და პრაქტიკული გამჭრიახობა!

* * *

ილია ჭავჭავაძეს და საერთოდ, სამოციანელებს, ერთი მხრივ, იტაცებდათ ის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მჩაგვრელთა წინააღმდეგ ევროპაში დაიწყეს დაჩაგრულმა ერებმა; „მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“, — წერდა ილია და ეს ხმა მართლაც მკაფიოდ ისმოდა მთელ მსოფლიოში. მეორე მხრივ, თავის სოციალურ პროგრამას თერგდალეულები რაზნოჩინელების იდეური ზეგავლენით ჰქმნიდნენ. თუ გარიბალდის და მაძინის მაგალითი ამხნევებდა მათ საქართველოს ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, სამაგიეროდ, ჩერნიშევსკისაგან სწავლობდნენ სოციალური ბრძოლის მრისხანე ტაქტიკას. ბუნებრივი იყო, რომ თერგდალეულებმა ხალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის პირობებში, როცა საქართველო კოლონიური ძარცვა-გლეჯის და მეფის მოხელეთა თარეშის არენად იყო გადაქცეული, საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა ორგანიულად და განუყოფლად დაუკავშირეს კლასობრივ ბრძოლას, სოციალური თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლას.

* * *

სოციალური და ნაციონალური უკუღმართობის დათრგუნვა, შრომის სუფევის დამკვიდრება — ასეთია ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების დედააზრი, ესაა რწმენის უწმინდესი სიმბოლო. ილიამ თავის „პასუხის პასუხში“, რომელშიც მთელი თავისი თაობის სახელით ლაპარაკობდა, მრისხანედ დაჰგმო „ღმერთი მზაკვრობის და თვალთმაქცობის“, „ღმერთი ხარბობის და მძარცველობის“; თავის პოზიტიურ იდეალს კი იგი შემდეგნაირად აყალიბებდა: „ხოლო გვწამს ღმერთი უქმთა წარმწყმედი, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი, ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი“.

ილია ჭავჭავაძის რომელ ნაწარმოებსაც არ უნდა გადახედოთ, თქვენ მოგესმით ჰუმანიზმის ხმები, მოგესმით მძლავრი პროტესტი ძველის, დახავსებულის, ადამიანის ჩაგვრაზე დაფუძნებული სამყაროს წინააღმდეგ: „გლახის ნაამბობში“, „კაკო ყაჩაღში“, „კაცია ადამიანში“, „აჩრდილში“ ის ხმას იმაღლებს დაჩაგრული გლეხკაცობის უფლების დასაცავად; თავის პუბლიცისტურ სტატიებში ის გვაძლევს კაპიტალიზმის გამანადგურებელ კრიტიკას; როგორ გატაცებით ოცნებობს პოეტი თავის „აჩრდილში“ იმ დღეებზე, როცა მოისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია: „შრომის სუფევა მოვა მაშინა, ჭეშმარიტების მის ძლიერებით და განმტკიცდება სოფელსა შინა კაცთმოყვარეობის სახიერებით. მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთმოყვარება და სათნოება. ალლო აიღო ქვეყანამ ძველმა, რომ დღე-ღამ მისი წყობა ირღვევა. და ამ ზვიადმა საუკუნემა უნდა შვას იგი შრომის სუფევა, მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები, წართმეულ ნიჭთა კვლავ მოპოვება, სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები, არც ვის ემონვი, არც ვის იმონებ“.

გაიხსენეთ ილიას ლექსი „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“. რაოდენ უღრმესი სიყვარულით იხსენებს პოეტი „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელ დიდ დროშას“, პარიზის კომუნის დროშას. რაოდენი მწუხარებით ივსება მისი გული იმის გამო, რომ ქვეყნის „მჩაგვრელმა ძალამ“ „იგი დროშა დასცა დაბლა“. ვიქტორ გოლცევი თავის წიგნში „ქართველი მწერლები“ აღნიშნავდა, რომ „არა მარტო ქართულ, არამედ იმდროინდელ რუსულ პოეზიაშიც არ მოიძებნება მეორე ლექსი, რომელიც ესოდენ ძლიერად და აზრის სიცხადით ადიდებდეს 1871 წლის პარიზის კომუნისათვის მებრძოლებს“. ილია ჭავჭავაძე გადაჭრით და მტკიცედ გამოესარჩლა ადამიანის განთავისუფლებისათვის მებრძოლ პარიზელ პროლეტარებს. „აჩრდილის“ ავტორი არ შეიძლება სხვანაირად მოქცეულიყო. ჩაგრული კლასების განთავისუფლება — ეს იყო მისი მუდმივი საფიქრალი, სანატრელი, ეს იყო მისი ყველაზე უწმინდესი და სანეტარო ოცნება... ის დაუღალავად, დაუცხრომლად, მთელი თავისი ბუმბერაზული ენერგიით იბრძოდა იმისათვის, რომ ეს ოცნება სინამდვილედ ქცეულიყო.

პოემაში „ქართვლის დედა“, რომელსაც პოეტმა ქვესათაურად წააწერა — „სცენა მომავალ ცხოვრებიდან“ — მან დახატა ოცნებით წარმოსახული სურათები თავისუფალი საქართველოსი. მოხუცი, ავადმყოფი დედა ამ პოემაში ამბობს: „თუმცა სიკვდილი ავადმყოფთათვის წვალება არი, მაგრამ, ჰე, ღმერთო, გმადლობ, ამ დღეა რომ შემასწარი, და აქომამდე არ მომკვეთე ჩემი ცხოვრება: ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება! ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ჰფიქრობს და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!.. დიდია ხალხი, როს ეს ერთობა შიგ წარმოუძღვება“.

საგულისხმოა, რომ აქ პოეტი ხალხთა ერთობლივ ბრძოლაზე — მთელი კავკასიის თავისუფლებაზე ლაპარაკობს. ილიას პატრიოტიზმი მჭიდროდ იყო შერწყმული ხალხთა ძმობის იდეასთან. ის აქაც მოწინავე პოზიციებზე იდგა და თავისი სამშობლოს ხსნას სხვა ხალხთა განთავისუფლების საქმეს უკავშირებდა.

ჩვენმა დრომ, საბჭოთა ეპოქამ, ხორცი შეასხა იმ ნატვრას, იმ ოცნებას, რომლითაც აღბეჭდილია ილიას მთელი მგზნებარე შემოქმედება. თავისუფალი ქართველი ხალხი დღეს სიამაყისა და სიყვარულის გრძნობით იხსენიებს თავის სახელოვან მწერალს, რომელსაც მუდამ სჯეროდა თავისი ხალხისა, მისი დიადი მომავლისა.

**გიორგი ნატროშვილი**



ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი.



# ქადილები

ზუგდიდის რაიონი საქართველოში ერთ-ერთი დიდი, მდიდარი და მძლავრია. მის ეკონომიკას თვალსაჩინო ხვედრითი წონა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. რაიონი მტკიცედ მიემართება პარტიის XXV ყრილობის მიერ ნაჩვენები გზით, იპყრობს ახალ ზღუდეებს, ფართოდ ვითარდება მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, მაღლდება კულტურა, მშრომელთა კეთილდღეობა. წარმატებათა მოპოვებაში მშრომელებს წინ მიუძღვის და რაზმავს ლენინურ ტრადიციებზე აღზრდილი რაიონის სახელოვანი პარტიული ორგანიზაცია.

ჟურნალ „დროშის" სპეციალური კორესპონდენტი დავით ბიწაძე შეხვდა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანს ივლიანე თოდუას და მიმართა რამდენიმე კითხვით.

— როგორია რაიონში ხუთწლედის წინა ორი წლის შედეგები?

— ტემპი, რომელიც ჩვენი რაიონის მშრომელებმა აიღეს, გარანტიას გვაძლევს, ხუთწლედის დავალებები შევასრულოთ ვადამდე და დიდი გადაჭარბებით.

განსაკუთრებული მიღწევები გვაქვს მეჩაიეობაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს დარგი ჩვენი რაიონის სიმდიდრე და სიამაყეა. განთქმულია ზუგდიდელ მეჩაიეთა სასახელო საქმეები. მათი გმირული შრომის დასახასიათებლად მივმართოთ ციფრებს: მარტო შარშან რაიონმა 55.358 ტონა ხარისხოვანი „მწვანე ოქრო" მისცა მრეწველობას. ერთ სეზონში ამდენი ფოთოლი არასოდეს არ მოკრეფილა რაიონში. ეს ციფრი 7.370 ტონით აღემატება გეგმა-დავალებას, წინა წლის მაჩვენებლებს კი 6.570 ტონით სჭარბობს.

დამყარებულია მეორე რეკორდიც. ერთ ჰექტარზე მიღებულია 7.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სამი ათასი კილოგრამით მეტი წინა ხუთწლედის მეორე წელთან შედარებით. ჰექტარზე ასეთ დიდ მოსავალს მსოფლიოს მეჩაიეობის ვერც ერთ კლასიკურ ქვეყანაში ვერ ღებულობენ. რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს", ახალაბასთუმნის, ჯიხაშკარის, ახალსოფლის ლენინის სახელობის და სხვა მოწინავე კოლმეურნეობებმა ჰექტარზე გადააბიჯეს ათტონიან ზღუდეს. ბრიგადამ, რომელსაც სახელოვანი მეჩაიე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია ხელმძღვანელობს, ჰექტარზე 13 ტონაზე მეტი ფოთოლი მოკრიფა.

მეჩაიეთა ნაშრომს შავი და მწვანე ბაიხის ძვირფას პროდუქციად აქცევენ ჩაის მრეწველობის მუშაკები. ჩაის მრეწველობის ზუგდიდის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის წარმოება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით, გეგმის ზევით გამოუშვა 3,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. გაერთიანება ორ კვარტალში ფლობდა რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას, ერთ კვარტალში კი სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას დაეპატრონა, რამდენჯერმე დაიმსახურა ფულადი პრემია.

მეჩაიეობაში ინერგება კომპლექსური მექანიზაცია. მანქანებით მოიკრიფა მთელი ნედლეულის ერთი მესამედი. ჩაის მრეწველობაში ხორციელდება ტექნიკური სიახლენი. ზუგდიდის ჩაის მეორე ფაბრიკაში დაამონტაჟეს გრეხაჭრისა და დახარისხების მექანიზებული უწყვეტი ნაკადური ხაზი, რომელმაც მკვეთრად გაზარდა პროდუქციის წარმოება და ხარისხი. ასეთივე ტექნიკა იმუშავებს წელს ზედა ეწრისა და ინგირის ჩაის ფაბრიკებში. სწორედ სიახლესთან მეგობრობა გახდა ჩვენს რაიონში დამზადებული პროდუქციის საერთაშორისო აღიარების ერთ-ერთი საფუძველი. ზუგდიდიდან ასობით ტონა ჩაი გაიგზავნა ინგლისსა და პოლონეთში.

— რა მუშაობას ეწევა რაიონის პარტიული ორგანიზაცია მეცხოველეობის განვითარების ფართო პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმმა დასახა?

— არც ისე შორეულ წარსულში ჩვენს რაიონში მეცხოველეობა წამგებიანი დარგი იყო. ფესვი გაიდგა საქმისთვის საზიანო აზრმა, თითქოს სუბტროპიკული მეურნეობის გვერდით მეცხოველეობის განვითარება არ იყო შესაძლებელი.

სინამდვილეში ამ საქმეს ხელს უშლიდა ის, რომ პროდუქციის წარმოება გაბნეული იყო მეურნეობათა წვრილ-წვრილ პრიმიტიულ ფერმებში. ეს იწვევდა ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების დაქსაქსვას, აძნელებდა კომპლექსური მექანიზაციისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვას, გადიდების ნაცვლად ამცირებდა რენტაბელობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმმა, რომელმაც ღრმა ანალიზის საფუძველზე წამოაყენა საპროგრამო დებულება

მარცხნიდან: ცნობილი მეჩაიე თ. ყუფუნია, საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თოდუა და ცნობილი მექანიზატორი ვ. მეუნარგია.

მარცხნიდან: რუხის კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. მალანია და მექანიზატორი ა. ბახტაძე.

თარხან არჩვაძის ფოტო.



იმის შესახებ, რომ „საქართველოს შეუძლია და კიდევაც უნდა გახდეს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“, ახალი მიმართულება მისცა რაიონში მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის საფუძველზე.

კოლმეურნეობათა წვრილ-წვრილი მეფრინველეობის ფერმების ბაზაზე შეიქმნა მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკა, რომლის ახალი კორპუსი გათვალისწინებულია 38 ათასი მოქცეულისათვის. ახლა მარტო ერთი მეფრინველე ღებულობს წელიწადში იმდენ კვერცხს, რამდენსაც წინათ ერთი წლის მანძილზე ღებულობდა რაიონის ყველა კოლმეურნეობა. ფაბრიკა პირველი წლიდანვე იძლევა მოგებას.

მეღორეობის საკოლმეურნეობათაშორისო სასუქმა კომპლექსმა ერთ წელიწადში აწარმოა ცამეტჯერ მეტი ხორცი, ვიდრე საშუალოდ ერთმა კოლმეურნეობამ. ცენტნერი ღორის ხორცის წარმოება კოლმეურნეობებთან შედარებით 33 პროცენტით ნაკლები დაჯდა. კომპლექსმა 207 ათასი მანეთი მოგებით დაამთავრა ხუთწლედის მეორე წელი.

შარშან ექსპლოატაციაში შევიდა ორულუს საკოლმეურნეობათაშორისო სარძეო-სასაქონლო კომპლექსი 600 ფურისათვის, სადაც შემოიყვანეს მაღალპროდუქტიული შავ-ჭრელი ჯიშის დეკეულები.

უხვი და იაფი ხორცის ფაბრიკაა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ინტენსიური სუქების საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება, რომელიც დიდინეძის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა. შენდება ტიპიური სადგომი, სადაც ყველა შრომითი პროცესი მექანიზებული იქნება. აქ ყოველწლიურად გაასუქებენ 2 ათასამდე სულ პირუტყვს. ჭკადუაშისა და კოკიის კოლმეურნეობებში შეიქმნა სანაშენო მოზარდეულის გამოსაზრდელი კომპლექსები, საიდანაც გამოზრდილი პირუტყვი გადაეცემა სხვა კოლმეურნეობებს. წელს მწყობრში ჩადგება ხელოვნური დათესვლის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება. პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესება და ფურების სიბერწის შემცირება.

მეცხოველეობის ინტენსიფიკაციას ემსახურება შიდასამეურნეო სპეციალიზაცია, რომლის საუკეთესო მაგალითია ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა .აქ რამდენიმე წელიწადში თითქმის სამჯერ გაიზარდა ფურების რაოდენობა, ხოლო საშუალო წველადობა—ორჯერ. უკვე სამი წელია მეცხოველეობა გახდა მომგებიანი.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის გაწეულმა შრომამ და რეზერვების ამოქმედებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ექვსი წლის მანძილზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება რაიონში გაიზარდა ოთხჯერ, მარტო მეათე ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში თითოეული ფურის წველადობა 609 კილოგრამით გაიზარდა და შარშან 2.300 კილოგრამს მიაღწია.

— რა კეთდება მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის?

— შრომით კოლექტივებზე დადებით გავლენას ახდენს ზრუნვა ადამიანებზე, მათ კეთილდღეობაზე. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ახორციელებენ ეფექტურ ღონისძიებებს მშრომელთა კულტურული. სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ ენერგიული შრომის შემდეგ ადამიანებმა დაისვენონ კულტურულად, ნაყოფიერად გაატარონ დრო, აღიდგინონ დახარჯული ენერგია.

მშრომელთა სამსახურშია კულტურის კერები, რომლის გარეშე არც ერთი სოფელი არ არის დარჩენილი. სარაიონო და სასოფლო კულტურის სახლებთან, კლუბებთან ჩამოყალიბებულია სააგიტაციო მხატვრული ბრიგადები, რომელთაც ხშირად შეხვდებით ჩაის პლანტაციებში და სიმინდის ყანებში, მეცხოველეობის ფერმებში და მწყემსებთან ზაფხულის საძოვრებზე. პროგრამა საინტერესოა, მასში შედის სიმღერები, ერთმოქმედებიანი პიესები და სკეტჩები, გულითადი საუბარი კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. გულში ჩამწვდომი სიტყვა აღანთებს ადამიანებს, იწვევს მასობრივ შრომით და პოლიტიკურ აქტივობას.

ორულუს რძის წარმოების კომპლექსი. მარცხნიდან: მომვლელი ბ. ესართია, მწველავი მ. ლემონჯავა, ზოოტექნიკოსი ლ. გვაჯაია, კომპლექსის მმართველი რ. წურწუმია შემოვლაზე.



რაიონის არც ერთი დასახლებული პუნქტი არ არის დარჩენილი საყოფაცხოვრებო სამსახურის გარეშე. მუდამ ხალხმრავლობაა ცაიშის, დარჩელისა და რუხის საყოფაცხოვრებო სახლებში. აქ მშრომელებს შეუძლიათ შეიკერონ ტანსაცმელი და შეაკეთონ ფეხსაცმელი, ტელევიზორები და ელექტრომოწყობილობა, მისცენ ქსოვილები ქიმიური წმენდისათვის. სოფლებში გახსნილია კომპლექსური მიმღები პუნქტები. აქ შეიძლება შეუკვეთა ყოველგვარ მომსახურებაზე, რომელიც დანიშნულ დროს შესრულდება და სიამოვნებით იტყვით: გმადლობთ, სანიმუშო მომსახურებისათვის.

ბევრი ახალი სავაჭრო ობიექტი შეემატა რაიონის სოფლებს, რომლებშიც შეუფერხებლივ წარმოებს პირველი მოთხოვნილების საქონლის გაყიდვა. სოფლის მშრომელთა დიდი მოწონებით სარგებლობს სავალე სასადილოები, რომლებსაც ჩაის ფოთლის კრეფის სეზონში რაიკოოპერატივი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხსნის. მინდვრებსა და ფერმებს, სოფლიდან დაცილებულ უბნებს ემსახურება „მაღაზია ბორბლებზე“, „სასადილო ბორბლებზე“, „კლუბი ბორბლებზე“, „ბიბლიოთეკა ბორბლებზე“, „ამბულატორია ბორბლებზე“, რომელთა გამოჩენას მუდამ სიამოვნებით შეჰყურებენ.

მომსახურების ფორმები და მეთოდები კიდევ უფრო იხვეწება, დიდ სტიმულს იძლევა შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გაგზავნა ექსკურსიებზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და უცხოეთში, შეხვედრები შრომის ვეტერანებთან, ხანდაზმული ადამიანების იუბილეები, კოლმეურნედ კურთხევა, მუშად კურთხევა, ახალგაზრდობის საბჭოთა არმიაში გაცილება და დაბრუნებულებთან საზეიმო შეხვედრა და ა. შ. დამკვიდრდა ახალი დღესასწაულები „მოსავლის დღესასწაული“, „შინმოუსვლელის დღე“, „ჩაის დღე“, რომლებიც ადამიანებში შრომისადმი სიყვარულს და შთაგონებას იწვევენ.

დიდი ძვრებია სახალხო განათლების ფრონტზე. სასოფლო რაიონებს შორის ზუგდიდი პირველია, სადაც მომზადდა პირობები კონსტიტუციური უფლების — საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელებისათვის. სკოლების მატერიალური და ნივთიერი ბაზის სრულყოფა ერთ-ერთი მთავარი ზრუნვის საგანი გახდა — კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საკუთარი სახსრებით ააგეს 16 სასკოლო შენობა, ხოლო ოთხი მშენებლობის პროცესშია. და კიდევ ერთი საინტერესო ცნობა: ზუგდიდის რაიონმა სახალხო განათლებაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის შარშან მეორედ დაიმსახურა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

—როგორია რაიონის პერსპექტივები, უახლოესი პერიოდისათვის?

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს, ჩვენი რესპუბლიკის თითოეულ მშრომელს ნათლად უჩვენა, რომ სპეციალიზაციის თანმიმდევრული გაღრმავება, კონცენტრაციის გაძლიერება, სოფლის მეურნეობის დარგების ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა მაგისტრალური მიმართულებაა, საარსებო აუცილებლობის საქმეა. ამას გვიკარნახებს ჩვენი რაიონის პრაქტიკაც. აი მაგალითებიც: ინგირის ჩაის სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთლის წარმოება რაიონის სხვა მეურნეობებთან შედარებით თითქმის სამჯერ იაფი უჯდებათ. რაიონში ერთი ცენტნერი ტუნგოს ნაყოფის წარმოებაზე 52 მანეთი დაიხარჯა, აბასთუმნის ტუნგოს სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობაში — 24 მანეთი. ჯიხაშკარის კოლმეურნეობაში, რომელიც მევენახეობაშია სპეციალიზებული, ექვსჯერ მეტი ყურძენი მიიღეს, ვიდრე რაიონის თითოეულმა კოლმეურნეობამ საშუალოდ.

მიმდინარე წელს შეიქმნა განარჯის მებაღეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ეს დარგი ვითარდება სამრეწველო საფუძველზე, ხოლო კოლმეურნეობებში, სადაც ბაღები განადგურების პირას მივიდა და ერთეული ხეები შემორჩა, ხეხილის ბაღების ნაცვლად მიწა სხვა კულტურებს დაეთმო.

რაიკომის ბიურო სწავლობს აგრეთვე შიდასამეურნეო და რაიონული სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხებს და ამ მიმართულებით გადაიდგმება სერიოზული ნაბიჯები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პირველ ეტაპზე გამსხვილდნენ საზოგადოებრივი მეურნეობები, შეიქმნას აგროსაწარმოო გაერთიანებები, სადაც შევა რამდენიმე კოლმეურნეობა, მათ შორის ერთი იქნება სათაო; იგი სხვებს გაუწევს ხელმძღვანელობას. შემდგომ ეტაპზე საჭიროა შეიქმნას აგროსაწარმოო გაერთიანებები. საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის ბაზაზე შეიქმნას აგროსამრეწველო გაერთიანება, რითაც გადაწყდება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი: მრეწველობის ნედლეულით რითმული და სტაბილური მომარაგება, მუშახელის გამოყენებაში სეზონურობის მოსპობა, მიწის ტექნიკის, ტრანსპორტის საშუალებათა ეფექტიური გამოყენება და ა. შ.

კვლავაც მთავარი საზრუნავია მშრომელთა მომსახურება. ფართოვდება კულტურის, ჯანმრთელობის, განათლების, საყოფაცხოვრებო მომსახურების კერები, ვაჭრობის ქსელი; მალე კულტურის სახლის ახალი შენობა დაამშვენებს სოფელ ნარაზენს, რომელიც კოლმეურნეობის სახსრებით შენდება.

რუხისა და ახალსოფლის სავაჭრო ცენტრებს, ორულუს უნივერმაღს, რომელიც მშრომელთა სამსახურში ცოტა ხნის წინათ ჩადგა, მიემატება დარჩელის სავაჭრო ცენტრი, პირველი კლასის რესტორანი „რუხის ციხე“. სავაჭრო ცენტრები აშენდება აგრეთვე ჯიხაშკარში, ცაიშში, კახათში, ჭითაწყარში და ა. შ. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე გზების გაყვანა-რეკონსტრუქცია, ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობა, გაზიფიკაცია და ა. შ.

აღმავალი გზით მიემართება ზუგდიდის რაიონის სახალხო მეურნეობა და კულტურა. ეს გზა კომუნიზმისაკენ წინსვლის გზაა.

ატალახებულ შარაგზაზე ფეხი ცურავდა და სიარული ჭირდა. არადა, გზა კიდევ ბევრი ჰქონდა გასავლელი ბიჭს. არც არავინ შემოხვდა, რომ ერთად ევლოთ და საუბარში მაინც შეექცია თავი.

თუმცა ვინ უნდა შეხვედროდა? სოფელში თითქმის აღარავინ დარჩა. დიდები ომში წავიდნენ, დავრდომილი მოხუცები შინ იყვნენ, ვისაც ძალა შესწევდა, უმრავლესობამ ქარხანას მიაშურა და ახლა კი არა, ალბათ უკვე უთენია წავიდნენ სამუშაოზე.

უჭირდა სოფელს. სოფელს კი არა, მთელ ქვეყანას უჭირდა. აი სწორედ ამ გაჭირვებამ შეაცვლევინა თავისი მისწრაფება კოსტა ბიჭს: პედაგოგიური ტექნიკუმის სტუდენტი ადგა და ამ დილით სასწავლებლის აუდიტორიის ნაცვლად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისკენ მიმავალ გზას დაადგა.

სხვა რა ჩარა იყო? მამა ომის პირველი დღეებიდანვე წავიდა ფრონტზე, დედა ლოგინად ჩავარდა. გაუჭირდა უვაჟკაცოდ დარჩენილ ოჯახს, შემწე და დამხმარე არავინ ჰყავდათ. ისევ ულვაშშეუღინლავ კოსტას უნდა ეთავა ოჯახისათვის შეხიდება.

ასეც მოიქცა. მიუყვება ახლა ქარხნისკენ მიმავალ გზას და რაც უფრო უახლოვდება მას, უფრო შეფარული შიშით ევსება გული: მიიღებენ ქარხანაში? გამოჩნდება რაიმე სამუშაო გამოუცდელი ახალგაზრდა ბიჭისთვის?

კოსტამ ხიდი გადაჭრა და სამანქანო გზა დაიწყო. სიარული გაადვილდა. ნაბიჯს აუჩქარა ფიქრში გართულმა მგზავრმა.

საქარის ეკლესიასთან გზა რომ იყოფა, ხანშიშესულ ორ კაცს წამოეწია, ისინიც, ეტყობოდათ, რაღაც საქმეზე მიიჩქაროდნენ ქარხანაში.

როგორც იქნა მოილია გზა. ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანას რომ მიუახლოვდნენ, საყვირი აგუგუნდა. ეს იმას ნიშნავდა, ზუსტად ცხრა საათი იყო.

— დროზე მოვედი, — ჩაილაპარაკა გახარებულმა კოსტამ და გაფაციცებით დაუწყო ძებნა ძია მიხეილს.

მიხეილი მათი შორეული მოყვარე იყო. გუშინ დახმარების გაწევა აღუთქვა ლოგინად ჩავარდნილ კოსტას დედას: ხვალ დილით ცხრა საათზე ქარხანაში მოვიდეს შენი ბიჭი, შევეცდები რაიმე სამუშაო გამოვუნახოთო.

ადრე შორიდან თუ შეავლებდა ხოლმე თვალს კოსტა ქარხანას. ახლა, როცა ეზოში მოფუსფუსე მუშებს შეავლო თვალი, როცა მოგუგუნე ღუმელებმა შორიდან სითბო შეაფრქვიეს, ცოტა არ იყოს, რაღაც უცნაურად დაიბნა ბიჭი.

„მეღირსება კი აქ მუშაობა?“ გაივლო აფორიაქებულ გონებაში და ფეხდაფეხ აედევნა ძია მიხეილს.

ვიწრო ლიანდაგიდან მარცხნივ გადაუხვიეს, ღია, ვეებერთელა რკინის კარში შევიდნენ და საამქროში აღმოჩნდნენ.

ხიდურ ამწეს უზარმაზარი თუჯის ქვაბი ჩაებღუჯა და სადღაც მიაქანებდა.

ღუმელების სიმხურვალემ შუბლი დასწვა კოსტას. სახეზე ხელი აიფარა, ისე შეჰყვა მეგზურს საამქროსთან მიყუჟულ პატარა ოთახში.

მაგიდასთან ქაღალდებში თავჩარგულმა ხაკისხალათიანმა კაცმა თავი აილო და ახლად მოსულებს დააცქერდა.

— აი, ამ ბიჭზე გეუბნებოდი, — წამოიწყო ძია მიხეილმა, — იქნებ რამე სამუშაო მოვუძებნოთ... არ შეგვარცხვენს... კოჭებზე ეტყობა, არ შეგვარცხვენს...

საამქროს უფროსი კონსტანტინე ჩომახიძე წამით ჩაფიქრდა და მშვიდი ხმით თქვა:

— მოვუნახავთ რაიმეს... აბა ვნახოთ, შეგვარცხვენს თუ არ შეგვარცხვენს?!

ქარხანაში მისვლის ეს პირველი დღე არასოდეს დაავიწყდება კოსტა მდივანს. მას შემდეგ 35 წელი გავიდა, მაგრამ დღესაც თითქოს ისევ ნათლად ჩაესმის ყურში საამქროს უფროსის გულითადი სიტყვები:

— აბა ვნახოთ, შეგვარცხვენს თუ არ შეგვარცხვენს?!

* * *

დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რომელიც სამშობლოსთვის მეტად საჭირო ნადნობებს ამზადებდა, მუშახელი აკლდათ.

აკლდათ, მაგრამ ახალბედა კოსტა მდივანს ლითონის გამოდნობას აბა ვინ მიანდობდა? სხვადასხვა მარტივ სამუშაოს ურჩევდნენ, მალე დამხმარე მუშად გადაიყვანეს. გული, ახალგაზრდული გული, აფორიაქებული გონება, რაღაც შინაგანი ხმა ერთთავად მდნობელის რთული პროფესიის დაუფლებისაკენ უხმობდა.

ბედად, ქარხანაში მდნობელთა მოსამზადებელი კურსები გახსნეს.

ორი წელი ბეჯითად იწრთობდა ცოდნას კოსტა, ორი წელი თავგამოდებით ეუფლებოდა მდნობელის ურთულეს პროფესიას და აი, დადგა საოცნებო დღეც.

კოსტა მდივანი მესამე ღუმელზე მიამაგრეს სამუშაოდ. ახალგაზრდა მდნობელი გვერდში ამოუდგა საქვეყნოდ ცნობილ ოსტატებს — სოციალისტური შრომის გმირს ბაგრატ მელქაძეს, ნიკოლოზ გოგლიჩიძეს.

მაშინდელი ტექნიკა მეტის საშუალებას არ იძლეოდა: დღეში 20-22 ტონა ლითონს ადნობდნენ. ამასაც დიდი შრომა, გულისყური და შემართება სჭირდებოდა.

ნელ-ნელა იწაფავდა ხელს კოსტა, აუჩქარებლად, საქმიანად, დაბეჯითებით ეუფლებოდა გამოცდილ მდნობელთა ოსტატობას. თავდადებული შრომით წარმატებას წარმატებაზე აღწევდა.

სამიოდე წლის შემდეგ უკვე გამოცდილი მდნობელი კოსტა მდივანი იმ სასწავლებელში გააგზავნეს, სადაც ლითონის დნობის საიდუმლოს დაეუფლა. ახლა მას სხვებისთვის უნდა გადაეცა ცოდნა და გამოცდილება, ახალი მდნობელები უნდა აღეზარდა ქარხნისთვის.

არც აქ შეურცხვენია თავი.

სწორედ მის ხელში აღიზარდნენ და გამოიწვრთნენ ამჟამად უკვე სახელგანთქმული მდნობელები: „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერი დიდიმ გიორგაძე, ბიჭიკო ქარქაშაძე, გურამ ქებაძე, ბიჭიკო მალაღურაძე, სხვები და სხვები.

მისი უდიდებულესობის — მუშათა კლასის სახელოვანი წარმომადგენლის

კონსტანტინე მდივანი (შუაში) მეგობრებთან.





მკითხველის ყურადღება გვინდა ამჯერად შევაჩეროთ ჟურნალებზე „საქართველოს ქალი“, „საქართველოს ბუნება“, „დროშა“. აი სწორედ ამ ჟურნალების ფერადი ილუსტრაციებით გაფორმების რთულ და კეთილშობილურ საქმეს ემსახურება ჩვენი პოლიგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფერადი კლიშეების დამზადების ოსტატი ჰრაჩიკ სოლომონოვი.

იგი ჯერ კიდევ ცხრა წლისა იყო, როცა თბილისის ერთ-ერთ სახელოსნოში მიაბარეს შეგირდად. ორი წლის მანძილზე ჰრაჩიკი სახელოსნოდან სახელოსნოში გადადიოდა სამუშაოდ, ვერ იქნა, ვერც ერთ მათგანს ვერ დაუდო გული.

ბოლოს არჩევანი სტამბაზე შეაჩერა. კერძო ცინკოგრაფიაში მოეწყო მოწაფედ და თავიდანვე დიდი მონდომებით დაიწყო კლიშის დამზადების რთული პროცესების შესწავლა.

ეს იყო 1926 წელს. სწორედ აქედან იწყება ჰრაჩიკ სოლომონოვის როგორც პოლიგრაფისტის გრძელი და შინაარსიანი შრომით აღსავსე გზა.

მას შემდეგ ჰრაჩიკს მრავალი რთული სამუშაოს შესრულება მოუხდა სხვადასხვა ადგილას. 1937 წელს იგი საქართველოს სს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ფერადი ბეჭდვის ტექნოლოგიის შესასწავლად მოსკოვში გაგზავნეს.

თბილისში დაბრუნების შემდევ გამოცდილი ოსტატი ჩვეული ენერგიით ჩაება პოლიგრაფიულ საქმია-

# [illegible]



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე მდივანი.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.

კოსტა მდივნის შემოქმედებითი შრომის გზის ერთ-ერთი მონაკვეთი იყო ქარხნის მარგანეცის საამქროში მუშაობა. ამ საამქროში მან რამდენიმე წელი დაჰყო და სხვადასხვა რაციონალიზატორული წინადადებებითა და გამოგონებებით საპატიო კვალი დაამჩნია.

კოსტა მდივნის წინადადებების წარმოებაში დანერგვამ რამდენადმე დააჩქარა და გააუმჯობესა ლითონური მანგანუმის თერმულ მანგანუმად გამოდნობის პროცესი.

მალე ეს მეთოდიც მოძველდა. თერმული სისტემით დნობა ელექტროენერგიამ შეცვალა. ქარხნის რამდენიმე მუშა ზაპოროჟიეში მიავლინეს ლითონური მანგანუმის ელექტროღუმელებში გამოდნობის პრაქტიკის დასაუფლებლად. წარგზავნილთა შორის კოსტა მდივანიც იყო.

* * *

დილით, როცა მტრედისფრად ინათებს ცა, ცვლის ოსტატი კოსტა მდივანი უკვე ფეხზეა.

ყვირილის სანაპიროზე პირველი ავტომანქანები გამოჩნდებიან. კოსტა სახელდახელოდ წაიხემსებს, მეუღლეს გაესაუბრება, მძინარე შვილებს გადახედავს და სწრაფად ჩაუყვება კიბეს.

ერთხანს ფეხით მიუყვება მწვანეში ჩაფლულ ქუჩას. უყვარს ეს ქუჩა კოსტას, არა მარტო იმიტომ, რომ აქ ცხოვრობს, იმიტომაც, რომ იგი საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე ბიბილაშვილის სახელს ატარებს.

ქუჩაში გაკრული ფირნიში ომის მრისხანე დღეებს ახსენებს.

ახლაც ქარხნისკენ მიიჩქარის. ახსენდება ნაცნობი სიტყვები:

— აბა ვნახოთ, შეგვარცხვენს თუ არ შეგვარცხვენს?

არა, არ შეურცხვენია თავი და სამშობლო კოსტა მდივანს. ორმოცდაათ წელს უკვე გადააბიჯა, მიდის და მის წინ თითქოს კინოკადრებივით ცოცხლდება განვლილ წელთა სურათები.

პირველი მედალი „შრომითი წარჩინებისათვის" ქარხანაში მუშაობა რომ დაიწყო, 9 წლის შემდეგ დაიმსახურა. ახალი ტექნიკის სრულყოფილად და საუკეთესოდ ათვისებისათვის, მერე „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვეს. თავდადებულ ბრძოლას კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელი და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვება მოჰყვა.

მერე კი... მერე კი მთელი რესპუბლიკა ამაყობდა, რომ მას,—ქართველ მეტალურგს, შრომითი მამაცობისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა...

საამქროში ნახევარი საათით ადრე მისვლა კანონად აქვს გადაქცეული ცვლის უფროსს.

მის ცვლაში ყოველ დღე ცხრა ღუმელი გუგუნებს. ლითონის დროულად და მაღალხარისხოვნად გამოდნობისთვის წინდაწინვეა საჭირო თადარიგის დაჭერა. საკაზმე განყოფილება, საკირე, დამხმარე მოწყობილობა, დანადგარები სრულ წესრიგში უნდა მოიყვანოს, ისიც დასადგენია, ბოყვში ლითონი ხომ არაა ჩარჩენილი, საკაზმავი აპარატი და სასწორი ხომ გამართულად მუშაობს... ასეა,გამოცდილ ოსტატს არც ერთი წვრილმანი არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან.

კარგი ბიჭები ჰყავს ოსტატს საამქროში. სწორედ ლევან გაჩეჩილაძის, ანდრო ჭურაძის, ვაჟა კაპანაძის, პიმენ არველაძის, ბრიგადის ყველა წევრის თავდადებული შრომის შედეგია, რომ საამქრო ათეულობით ზეგეგმით ფეროშენადნობს აძლევს ქარხანას, ზოგავს ძვირფას ელექტროენერგიას, წარმატებით ასრულებს დავალებებს.

ახლაც ყველაფერი უკვე შეამოწმა კოსტა მდივანმა. მერე კი, როცა საამქრო ხაკისხალათიანი და შავსათვალიანი მუშებით აივსო, დაიწყო სამუშაო დღე: ერთ-ერთი ჩვეულებრივი, თავდადებული შრომითა და პათოსით აღსავსე დღე.

* * *

კაბინეტში რა მოასვენებს ცვლის უფროსს? საამქროში დინჯად დააბიჯებს ცეცხლთან შეზრდილი, თმაშერუჯული ვაჟკაცი. ფრთხილობს, ლითონმა სადმე ღუმელი არ გადმოანგრიოს.

თუ გული გერჩის, თუ სამშობლოს სიყვარული გიღვივის, ყველა აუცილებელი დეტალის გათვალისწინებასა და გაკეთებას მოასწრებ.

საამქროს ბიჭებს კი, თავიანთი ცვლის ოსტატთან ერთად, ასეთი სიყვარულით უძგერთ გული. მათი სიტყვა და საქმე განუყოფელია. დამკვრელური წელი მათი ახალი წარმატებების წელი იქნება!

რუბენ ფერაძე

# ნახევარი საუკუნე

ნობაში. ამზადებდა ფერადი ბეჭდვის კლიშეებს, ოფსეტური ბეჭდვისთვის საჭირო რეტუშებს აკეთებდა.

დიდმა სამამულო ომმა ჰრაჩიკ სოლომონოვსაც შეაწყვეტინა თავისი საყვარელი საქმიანობა. საბეჭდ მანქანასთან ტრიალის ნაცვლად შაშხანას წამოავლო ხელი და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

გათენდა 9 მაისის ნანატრი გამარჯვების დღე. მიწყნარდა ქვემეხების გრიალი, მშვიდობამ და შემოქმედებითი შრომით აღსავსე ცხოვრებამ დაისადგურა ჩვენს ქვეყანაში.

ისევ თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა ნამძარი პოლიგრაფისტი.

ფერადი ბეჭდვის სპეციალისტი ჰრაჩიკ სოლომონოვი მალე „ზარია ვოსტოკას" სტამბაში მიიწვიეს. ამ სტამბაში ახლად გახსნილ ოფსეტური ბეჭდვის საამქროში ჰრაჩიკმა და მისმა კოლეგებმა პირველად დაბეჭდეს ჟურნალი „ნიანგი" ოფსეტური ბეჭდვის მეთოდით. ამ მეთოდით აქვე ბეჭდავდნენ „დროშის", „პიონერის", „დილას" ფერად გარეკანებს.

1961 წლიდან დღემდე ჰრაჩიკ სოლომონოვი საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობაში მუშაობს ფერადი ბეჭდვის კლიშეების დამზადებაზე.

მის სამუშაო ოთახში ვართ. ვსაუბრობთ. ბოლოს ვთხოვთ, რომელიმე ეპიზოდი მოგვიყვეს მისი პოლიგრაფიული საქმიანობიდან.

მასპინძელი იღიმება და დაუფიქრებლად გვიყვება:

— რამდენიმე ხნის წინათ, ასე ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ მოულოდნელად გამაღვიძეს და სტამბაში მიხმეს. მთელი ღღის მუშაობით დაღლილი ვიყავი, მაგრამ მაშინვე წამოვხტი საწოლიდან. საქმე მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დამემზადებინა კარლ მარქსისა და მისი ოჯახის წევრების სურათის ფერადი ანაბეჭდი. გათენებამდე ვიმუშავე და დავალება პირნათლად შევასრულე.. .შემაქეს და ჯილდოც მომცეს.

ეს ერთადერთი ჯილდო როდი იყო. ნახევარი საუკუნის მანძილზე გამოცდილმა პოლიგრაფისტმა ჰრაჩიკ სოლომონოვმა მრავალი მადლობა, შექება და ჯილდო დაიმსახურა.

ზის თავის სამუშაო მაგიდასთან საქართველოს პოლიგრაფიის მართლაც რომ ამაგდარი კაცი, ჭაბუკური ენერგიითა და გატაცებით ჩაჰკირკიტებს ფერად სურათებს, წმენდს კლიშეებს, ხინჯებს ასწორებს, სწრაფად და ოსტატურად ასრულებს ათასგვარ ფაქიზ სამუშაოს.

ნუნუ კუპრეიშვილი

# ილიას გმირები სცენაზე

ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სფეროს მისწვდა, ყველაფერს შეეხო მისი მადლიანი ხელი. ქართულ თეატრსაც მოჰფინა თავისი სიბრძნისა და მამულიშვილობის ნათელი და განუსაზღვრელი კვალი დააჩნია მას. ილია იყო დიდი თეატრალური მოღვაწე. იგი იმდენად აქტიურად მონაწილეობდა თეატრალურ ცხოვრებაში, რომ დრამატურგთა ხელნაწერ პიესებსაც კი კითხულობდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა მათ. მაკო საფაროვას თქმით: იმხანად პიესა ისე „არ გაიჭაჭანებდა", ილიას რომ არ წაეკითხა. ილიას რთულ საქმედ მიაჩნდა პიესის წერა. „დრამის შექმნა, — ამბობდა იგი, — ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი, თუნდ-ნიჭიერიც — ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს".

ამ მაღალი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გამო ილია იშვიათად წერდა პიესებს, მაგრამ საერთოდ, მისმა შემოქმედებამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული თეატრის ისტორიაში. ილიას გმირების სცენურ ისტორიას კი საუკუნეზე მეტი ხანი აქვს. მუდმივმოქმედ პროფესიულ თეატრში დაიდგა ილიას „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები".

ილია, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თეატრის რეპერტუარს. მისმა ნაწარმოებებმა თეატრში მოიტანეს ღრმა სოციალური პრობლემები, ისინი მაყურებელში აღვივებდნენ პატრიოტულ გრძნობებს, იბრძოდნენ ყოველგვარი ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მისი პიესები ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას ემსახურებოდა.

„დედა და შვილი" პირველად 1882 წელს დაიდგა. დედის როლს ნატო გაბუნია ასრულებდა, შვილისას — კოტე მესხი. მას შემდეგ არ ჩამოსულა სცენიდან ეს ნაწარმოები. იგი მაყურებელს აღაფრთოვანებდა, ღრმა დრამატიზმით დატვირთული დიალოგი ყოველი მსახიობის ნიჭის „სასინჯი ქვა" იყო. ამიტომ მას სცენის ნამდვილი ოსტატები თამაშობდნენ ხოლმე. ძველ თეატრში ნ. გაბუნიასა და კ. მესხს ნ. დავითაშვილი და ალ. იმედაშვილი სცვლიდნენ.

ასე შეერწყა ერთმანეთს წარსული და აწყმო; იგი გააერთიანა უზენაესმა გრძნობამ — მამულისადმი სიყვარულმა. ამავე მიზეზით იყო, „ქართვლის დედას" ხშირად რომ კრძალავდნენ ძველ თეატრში. არ ეპაშნიკებოდათ პატრიოტული ნაწარმოები, მაგრამ დიდი იყო ხალხის მოთხოვნილება მასზე და ამიტომ ვერავითარი ძალა ვერ აკავებდა მას, რადგან „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა". ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას წინ მიუძღოდნენ ილია და მისი ნაწარმოებები. ზუსტი იყო ქართული თეატრის ორიენტირიც — მას კარგად ესმოდა თავისი ისტორიული მისია.

ქართულ საბჭოთა თეატრში მაღალ მხატვრულ დონეზე გადაწყდა ილიას ნაწარმოებთა დადგმის საკითხი. საჭირო გახდა ახალი ინსცენირებანი. თეატრი დიდი სიყვარულით შეუდგა ამ ძნელ საქმეს. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი სერიოზული მოვლენა იყო „ჩატეხილი ხიდი" (რომელიც შ. დადიანმა შექმნა ილიას ნაწარმოებების მიხედვით). კ. მარჯანიშვილის თეატრმა იგი 1935 წელს დადგა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი წერდა: „მოწადინებული ვიყავი შემექმნა ილიასებური ფეროვნების სპექტაკლი, რეალისტურად გაცოცხლებული და მონუმენტალობამდე ხორცშესხმული".

ლუარსაბ თათქარიძის ბრწყინვალე სახე შექმნა ვ. გოძიაშვილმა. კლასიკური განზოგადოება, ილიასეული მხატვრული დამაჯერებლობა მიანიჭა მსახიობმა როლს, მთელი ეპოქა ფართოპლანიან გროტესკულ ფორმაში აირეკლა. სცენაზე დიდებულად აისახა თავადაზნაურული სამყაროს მანკიერება, მისი სულიერი გამოფიტულობა. გვაგონდება ს. ახმეტელის სიტყვები; იგი წერდა: „ეს ნაწარმოები უნდა დაიდგას დიდი მასშტაბით. ამ პიესით უნდა გამოიფინოს მთელი იმჟამინდელი ეპოქა. ლუარსაბი მარტო კახელი თავადი არ არის, ის მთელი საქართველოს თავადაზნაურობის სიმბოლოა".

ვ. გოძიაშვილმა ლუარსაბის სახით მოგვცა „დიდებული პრიმიტივიზმი". ვ. გოძიაშვილი წლების მანძილზე ხვეწავდა და ამდიდრებდა ლუარსაბის სახეს, შეჰქონდა ახალი დეტალები და ნიუანსები, ახალი ფერები, აზრობრივი კორექტივები.

ილიას გმირთა სცენურ ისტორიაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ვ. გოძიაშვილის ლუარსაბმა, აკაკი ვასაძის პეპიამ, თ. ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივმა; ეს კი ქართული საბჭოთა აქტიორული სკოლის დიდი გამარჯვებაა. ილიას გმირებმა სცენაზე მოიტანეს უდიდესი სიმართლე და სიღრმე, ადამიანური ყოფის უბრალოება, ღრმა განცდები და აზრები, სოციალურ ქარტეხილთა სუნთქვა. მსახიობებმა სხვადასხვა სტილით, განსხვავებული არტისტიზმით გამოხატეს გმირთა შინაგანი ცხოვრება, მათი ხასიათები. ვ. გოძიაშვილის ლუარსაბის გროტესკული ფორმა, ა. ვასაძის პეპიას ღრმა ფსიქოლოგიური და ნიუანსირებული შესრულება, თ. ჭავჭავაძის ოთარაანთის მონუმენტური სახე სხვადასხვა განზომილების, მაგრამ რაღაც ერთი მთლიანი, უხილავი ძაფებით შერწყმული და შენივთებული ილიას გმირთა სამყაროა; იგი ჩვენ წინ ცოცხლდება როგორც დიდი მწერლის სულით განათებული ფართო პლანის ეპიკური სურათი. მის მუქჩრდილებში კარგად იკითხება ეპოქალური ტკივილები, გარდასულ დროთა სიღრმეებიდან გამოხმობილი, ჩვენ თანამედროვეობაში გადმოსული მარადიული აზრი სიკეთეზე, სიყვარულზე, უმაღლესსა და უკეთილშობილეს გრძნობებზე, ადამიანურ სისუსტეზე, სოციალურ უკუღმართობასა და ადამიანის სულიერი სამყაროს უკიდეგანო სივრცეებზე.



ვასო გოძიაშვილი ლუარსაბის როლში.

აკაკი ვასაძის პეპიას დაბადება სცენაზე ახალი მხატვრული სინამდვილის დაბადებას ნიშნავდა. ილიას გმირი, საბჭოთა არენაზე ახლებურად, თანამედროვე ფორმით მოვიდა. ქართულ საბჭოთა თეატრში 50-იანი წლების მეორე ნახევარში წარმოქმნილ ფსიქოლოგიურ ნაკადს მძლავრად შეუერთდა ვასაძის პეპია და სულ სხვაგვარი მასშტაბი და ენერგია მისცა მას. ვასაძის მჩქეფარე არტისტიზმი, მკვეთრი რიტმი, ექსპრესიული ჟესტი თითქოს დაიოკა ილიას გმირმა და მსახიობის სტიქია რაღაც ახალ აქტიორულ კალაპოტში მოაქცია. ეს იყო მსახიობის შესაძლებლობათა ახალი სფეროების გაშიფვრა და წარმოჩენა და არა სცენური სახისა და აქტიორული ინდივიდუალობის დაპირისპირება, მსახიობის დიდი შესაძლებლობიდან ამოიზარდა ილიას გმირი, გაითვისა და გაიშინაურა იგი, გარდაისახა მის სამყაროში და ისე იცხოვრა სცენაზე. მსახიობმა გადაგვახედა ბნელ წარსულში და ღრმად ჩაგვაფიქრა ქართველი გლეხკაცის ბედზე. რა სულისშემძვრელი იყო მისეული პეპიას უკანასკნელი სიტყვები: „რად ჩაგივარდა ეგ ტიკტიკა ენა, ჰა" ვასაძემ სცენაზე ორჯერ გაიმეორა ეს სიტყვები; ერთხელ — პირველ მოქმედებაში, როცა თავის მშვენიერსა და უცოდველ თამროს ეხუმრებოდა და მეორედ — სიკვდილს წინ, როცა უკვე გათელილი და შერცხვენილი თამრო ველარ ხედავდა მომაკვდავ მამას. ვასაძის პეპია კი ისევ პირველქმნილი სიწმინდით უხმობდა, მისი ხმის გაგონებას ლამობდა. დაიღუპა პეპია, მაგრამ როცა წარმოდგენა დამთავრდა, ჩვენ ცნობიერებაში გაცოცხლდა დიდი მხატვრული სახე — სახე ილიასი და მსახიობისა ერთდროულად. ეს იყო ტრაგიკული სანახაობა, აღსავსე პოეტურობით და დიდი სულიერი ტკივილით. მსახიობმა ჩაგვახედა გმირის სულში, დაგვანახა ის დიდი შინაგანი ძალა, რითაც ცოცხლობდა და სულდგმულობდა ილიას გმირი. იგი იბრძოდა კიდეც, მაგრამ ნაადრევ იასავით სუსხსა და ყინვაში იღუპებოდა. მისი ბრძოლა იყო ვაჟკაცური, ახალი და სამართლიანი ცხოვრებისათვის მოწოდებული.

ქართულმა თეატრმა იგრძნო ილიას სიტყვის დიდი ძალა, მისი ამოუწურავი შესაძლებლობანი. ილიას სიტყვის ძალამ შეაქმნევინა დიდი სახეები ქართველ მსახიობებს. თითოეული რეჟისორისა და მსახიობის საპატიო მოვალეობად იქცა ილიას გმირებთან შეხვედრა. უკვე მდიდარი გამოცდილება და დიდი ისტორია შეიქმნა ილიას ნაწარმოებთა დადგმებიდან. ძველმა და ახალმა თეატრმა თავისებურად, ნიჭისა და შესაძლებლობის კვალობაზე, გამოხატა ულრმესი სიყვარული და მოკრძალება ქართველი ხალხის ეროვნული გმირის, მისი დიდი მოამაგისა და მოჭირნახულის — ილია ჭავჭავაძისადმი. ქართული თეატრის მომავალი თაობებიც არ დარჩებიან ვალში, ისინი კვლავაც მოუხმობენ ილიას სახელს. მუდამ იქნება თეატრისა და ილიას გმირების სულთა ერთობა, რამეთუ ერთი აქვთ საფიქრალი და სატკივარი.

ვასილ კიკნაძე

# უჩა ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუსტრაციები
ილია ჭავჭავაძის
ნაწარმოებებისათვის



კაკო და ზაქრო
„რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ".



გიორგი
„ოთარაანთ ქვრივი"
(ფრაგმენტი)





# ელენე ახვლედიანი

ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



- „მუშა"
- „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ"
- „გლახის ნაამბობი"
- „გლახის ნაამბობი"
- „აჩრდილი"
- „ოთარაანთ ქვრივი"









სერგო
ქობულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის
ნაწარმოებებისათვის

„ოთარაანთ ქვრივი“





# ილიას უკვდავებას

მის ნაფეხურზე ყვავილები იწყებენ შრიალს,
მის თვალწინ მტკვარიც თერგს მოჰგავდა, ჰქუხდა ზვირთებად,
მას ფიცულობდა საქართველო სანატრელ შვილად
და დღეს ქართველთა ღვაწლმოუთვლელ მამად ითვლება.
თუმც ბნელი დროის სიმძიმენი დააწვა მხარზე,
ქედს არ უხრიდა წუთისოფლის უკუღმა ტრიალს,
შუბლი უგავდა ზეცის ნაჭერს, მზის შუქით სავსეს,
ბრმა რომ არ იყოს, აუქცევდა გვერდს ცხელი ტყვიაც...
მწარედ ეწამა, მამულისთვის ჯვარს მართლა ეცვა,
კაცი იყო და ზეკაცური ძეგლი აღმართა,
თავს რომასწევდა, მაღლდებოდა ქართული ზეცა,
სიტყვას იტყოდა, დაბლდებოდა ჭერი მტარვალთა.
მღელვარე გულში ეტეოდა სამშობლო მთელი,
არ ცნობდა სიკვდილს უკვდავების წყაროსნასვამი,
ჩვენს ქვეყანაში გაქრებოდა ხსენება ცრემლის,
რომ საქართველო ყვარებოდა ყველას მასავით.
იყო ქართული ენის ძარღვი, სითბო და აზრი,
ქართველთა გულის მალამო და ფიქრთა გამგები,
ჰქონდა ბარაქა, გულუხვობა ქართული ვაზის
და დაგვიტოვა დაუჭკნობი წიგნთა ჯაგნები.

ნოდარ შამანაძე

# „დამაკვირდი“

## განყოფილება გაზეთ „ივერიაში“

როგორც ჟურნალ „საქართველოს მოამბის“, ისე გაზეთ „ივერიის“ გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ცხოვრებაში; ილია ჭავჭავაძემ, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე თავის ჟურნალ-გაზეთებში, ახალი სიტყვა თქვა, მოდუნებულ და უსიცოცხლო ცხოვრებაში სიხალისე და ინტერესი შეიტანა, აამოძრავა და აამოქმედა ადამიანები, შექმნა ინტერესთა ღრმა ჭიდილი, ამან კი ახალგაზრდობა ქვეყნისა და ერის სამსახურში ჩააყენა და მამულიშვილური გრძნობა გაუღვიძა.

ჩვენი წერილის მიზანია მოკლედ გავაშუქოთ, თუ როგორ შემოიღო ილია ჭავჭავაძემ თავის ყოველდღიურ გაზეთ „ივერიაში“ „დამაკვირდის“ განყოფილება.

1886 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაზეთი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, მისი შინაარსი უფრო გაფართოვდა და ოპერატიული გახდა. ილიამ გაზეთში სამუშაოდ მიიწვია ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებმაც დიდად შეუწყეს ხელი გაზეთის შინაარსის გაფართოებას და მის მომარაგებას საინტერესო მასალით.

1886 წლიდან ილიამ გაზეთ „ივერიაში“ „დამაკვირდის“ განყოფილება შემოიღო, სადაც იბეჭდებოდა მსოფლიო კლასიკოსების აფორიზმები და სენტენციები. გარდა აფორიზმებისა, გაზეთში იბეჭდებოდა აგრეთვე ნაკვესები, ხალხური ლექსები და ანდაზები.

„დამაკვირდის“ განყოფილების შემოღებასთან დაკავშირებით აი, რას წერს თავის მოგონებაში „ივერიის“ თანამშრომელი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია: „თვითონ სათაური „ნაკვესი“ ილიასაგან არის გამოგონილი, მაგრამ ფსევდონიმი არ მოწონდა: 20 დეკემბერს, 1885 წელს ილია მწერდა თბილისიდან: შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომწონს. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენთვის ზედ გამოჭრილია; 2. „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა, როგორც აბედს და შენ ჩვენ გადმოგვეცი... ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრაფით მაცნობე“.

აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ როგორც „ნაკვესი“, ისე „დამაკვირდი“ ილიას მიერაა გამოგონილი და შემდეგ გაზეთ „ივერიაში“ მტკიცედ დამკვიდრებული.

იაკობ მანსვეტაშვილი თავის მოგონებაში წერს: „ილიამ კარგად იცოდა ქართველი კაცის ბუნება, მისი სულიერი მოთხოვნილება, იცოდა, რომ ქართველ კაცს დიდად მოსწონს მოკლედ, ლამაზად, მოჭრით გამოთქმული ჭკვიანური აზრი... აიღეთ თუ გინდა, აი ეს „დამაკვირდი“, რომელიც ილიას კალამს ეკუთვნის:

ხმალი იმდენს არას იზამს,
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

ვინ იტყვის, — განაგრძობს ი. მანსვეტაშვილი, — რომ ამ პატარა, სხარტად, ლამაზად გამოთქმულ ლექსში არ არის დიდი და ღრმა აზრი? რომელ ქართველს არ მოჰგვრის ეს სიამოვნებას და არ ჩაწვდება გულის სიღრმეში“.

გაზეთში ან ჟურნალში ამა თუ იმ საინტერესო განყოფილების შემოღებას და წერილებით მის უზრუნველყოფას ილია დიდ ყურადღებას აქცევდა. როგორც ილიას თანამშრომელთა მოგონებებიდან ჩანს, „დამაკვირდის“ განყოფილებას ძირითადად თვით ილია ხელმძღვანელობდა.

„ილია ადგენდა ყოველდღე გაზეთისათვის „დამაკვირდის“ სხვადასხვა მწერალთა აზრს და ბრძნულ ნათქვამს, თვითვე არჩევდა და თუ საჭირო იყო, თვითონვე სთარგმნიდა“, — წერს „ივერიის“ თანამშრომელი არტემ ახნაზაროვი.

ილიას ისე მოსწონდა „ივერიაში“ დაბეჭდილი აფორიზმები და სენტენციები, რომ მათ ხშირად იყენებდა თავის სიტყვებსა და წერილებში. „ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია“. „უფულობა, უქონლობა — კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ქმნის ერს უღონოდაო“ (ვოლტერი); „ნეტავი იმასაო, — ამბობს ერთი ძველთაძველი ბრძენი, — ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითაცო“; „ტყუილად არ არის ნათქვამი, — ვინც კარგად ემსახურა სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდგვაროდაც დიდიაო“, „რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, — ამბობს ერთი ჭკუიანი კაცი, — პატიოსან გულში დიდი ადგილი უჭირავსო“. დაუსრულებლივ შეიძლება მწერლის მიერ „ივერიაში“ დაბეჭდილი აფორიზმებისა და სხვადასხვა ბრძნული გამონათქვამის მოყვანა, მაგრამ ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ილია ჭავჭავაძე მოკლე და ბრძნულ გამონათქვამებს.

„ივერია“ თავისი შინაარსით, მასალის სიუხვითა და მრავალფეროვნებით აკმაყოფილებდა ქართველი ხალხის სულიერ მოთხოვნილებას, პას მრწამსა და იდეებს, „ივერიის“ გამოსვლას ისე ელოდებოდნენ მკითხველები, როგორც ილიას ნაწერებს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, „ივერიამ“ ქართველი ხალხის გონებრივი განვითარების საქმეში ისეთი დიდი როლი შეასრულა, როგორც მისმა მხატვრულმა ლიტერატურამ.

გარდა იმისა, რომ „ივერია“ ოპერატიული და საინტერესო გაზეთი იყო, ის აგრეთვე იცავდა ქართული ენის სიწმინდეს. აი, რას წერს ამის შესახებ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია: „ამ ათი წლის წინათ, სანამ გაზეთი „ივერია“ გვქონდა, ჩვენი ენა ისეთ საფრთხეში არ ყოფილა. [illegible]ნებულის ილია ჭავჭავაძის ორგანო ჩვენში, სხვათა შორის ქართული ენის სკოლაც გახლდათ. სხვაგან დევნილი ქართული ენა „ივერიაში“ ჰპოვებდა საფარველს და მფარველთ. „ივერია“ იყო განსაწმენდი, „საბაჟო“ ქართულის ენისა. ყოველს წერილს, თვით უბრალო ორსტრიქონიან ახალ ამბავსაც კი სასტამბავიდან ისე არ გამოუშვებდნენ, სანამ რამდენიმე საგანგებოდ ამისათვის მიჩენილი კაცი არ გადახედავდა... მეტს ხორცს არ შემოაცლიდა, შალაშინს არ გადაჰკრავდა, არ გაამშვენიერებდა, არ „გააქართულებდა“, ენის მხრივ სულ უბრალო შეცდომაც რომ აღმოეჩინათ გაზეთის უკვე დაბეჭდილ ნომერში, მთელი ალიაქოთი შესდგებოდა ხოლმე რედაქციაში“.

„ივერიის“ თანამშრომელი არტემ ახნაზაროვი წერს: „საკვირველი ის იყო, რომ ილია წერილების გასწორების დროს წერის მანერას ან ყაიდას არ შეეხებოდა, რადგან იმ აზრისა იყო, რომ, ყოველ მწერალს თავისებური წერის ყაიდა და სტილი უნდა ჰქონდესო“.

ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ წყალობით ქართულ მხატვრულ ლიტერატურას და ჟურნალისტიკას დიდი ამაგი დასდო. როგორც იოსებ გრიშაშვილი წერს: „ილიამ ბევრი ახალი სიტყვა შესძინა ქართულ ლიტერატურას. იონა მეუნარგიას ცნობით, „სულთა სწრაფვა“ და „თვალთა ხედვის ისარი“ პირველად ილიამ იხმარა თავის ნაწერებში... ილიას შემოღებულია აგრეთვე შემდეგი სიტყვები: „ნაკვესი“, დამაკვირდი“, „სრასასახლე“, „მიმართულება“, „შინაარსი“, „უღელტეხილი“ და მრავალი სხვ“.

მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ სისტემატურად დაიწყო აფორიზმებისა და სენტენციების ბეჭდვა, სხვა ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა: „ცნობის ფურცელმა“, „დროებამ“, „იმერეთმა“, „სასოფლო გაზეთმა“ მიბაძეს მას და დაიწყეს აფორიზმებისა და სენტენციების ბეჭდვა. ზოგმა „ამორჩეული აზრები“ და ზოგმა კი „ჭკუის სალარო“ უწოდა მას. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ აფორიზმებსა და სენტენციებს მკითხველში დიდი გამოხმაურება ჰქონდა და ამიტომ დიდ ადგილსაც უთმობდნენ.

ლომონოსოვი — ეს ჩვენი უნივერსიტეტიაო, — ამბობდა პუშკინი. ეს სიტყვები შეგვიძლია ილიაზე გავიმეოროთ — ილია ჭავჭავაძე და მისი „ივერია“ ჩვენი უნივერსიტეტი იყო, ქართველი ხალხის უნივერსიტეტი.

ალექსანდრე სიგუა

ავთანდილ
გალდავაძე

მხატვარი
თენგიზ სამსონაძე

# ომის შვილები

მოთხრობა

მას, რაც თავის მამა-პაპა-პეპერე[illegible] ახსოვდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი შორეული წინაპრები, როგორც მეისტორიეები მოგვითხრობენ, სულ თოფ-მუზარად-საბარცულში იყვნენ ჩამსხდარნი და ჰოროლის კვრა უფრო ემარჯვებოდათ, ვიდრე ფარის ფარებზა, სამხედრო ტანსაცმელში კაცი არ უნახავს.

თავადაც მეომრად აშკარად არ იყო დაბადებული, საამისოდ არც კაუანდევური აღნაგობა უწყობდა ხელს, არც შახი და რიხი და არც ჰუმანიტარული პროფესია — ერთი უწყინარი და უპრეტენზიო პროვიზორი გახლდათ.

მაგრამ ეს ღვთის გარეგანი და კაცთმოძულე ომი რომ დაიწყო, გაქათქათებული ხალათი გაიხადა, ქობულეთში, ერთოთახიან ბინაში ცოლი და ბუნჩულა ბიჭი დატოვა, ფარაჯა ჩაიცვა, ჩაჩის მაგივრად პილოტურა დაიხურა და სამშობლოს საზღვრის დასაცავად წავიდა.

წასვლის წინ თავის ნაზ და ნატიფ მეუღლეს ლაწვებზე ხელი მოუთათუნა (აბა, მილეთი ხალხის წინაშე, საჯაროდ და საჯაყად, ცოლს ხომ არ გადაეხვეოდა?!), ერთადერთი შვილი გიზო აიტაცა, აკოცა, ჩვენი მოდგმის ავლადიდებას, ნაპატივებ ცხვირს გაუფრთხილდიო, ანდერძად დაუბარა, თანამეცხედრეს გადახედა, გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. მერე ხმადაბლა, ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— აბა, შენ იცი, როგორ ყოჩაღად იქნები, თამარ-ქალო, ჩემო გვრიტო და მარგალიტო.

შვილს ერთხელ კიდევ ეამბორა, ჩამოსვა და ვაგონის საფეხურებს აჰყვა...

ცრემლმორეულმა დედამ „ნაპატივები ცხვირის“ ამბავი ასე უამბო შვილს: მამამისმა, საოჯახოდ რომ მოიწიფა, ქარცივაძეების ასულს დაადგა თვალი. სასიმამროს სასიძოს დასამზერად ერთი მაკვარანცხი, ყველა ხვრელში გამძვრალი კაცი — იპოლიტე ჰანუყვაძე მიუგზავნა. ეს დამზირალი აფთიაქში საღამო ხანს მივიდა. აქეთ მოდგა, იქით მიდგა, ჯერ ცხინკვების წამალი მოიკითხა, მერე — თავბრუსხვევის აბი, ბოლოს — მაზოლის მალამო. ყველაფერი ეს აკაკის დახლზე დაახვავებინა, აანგარიშებინა და რაღაცაზე აუხირდა, მედიკამენტები მიუყარა, ყაბალახის ტოტები ბეჭებზე მოიქნია, გაიჯგიმა და გარეთ გავარდა.

აფთიაქის გამგემ ის ღამე თეთრად გაათენა: „ალბათ, კარგად ვერ მოვექეცი, ცუდი რამ ვაკადრე იმ ადამიანს, თორემ ასე რა გაადელებდაო?

მეორე დღეს, სისხამ დილით, იპოლიტე ოზურგეთში ჩავიდა, ქარცივაძეების ოჯახში შუაცეცხლთან სახელდახელო სუფრას მიუჯდა, ჭყინტ ყველს, პრასის მწნილსა და ცხელ მჭადს სანთლის არაყს „უჰუ-უჰუს“ ძახილით აყოლებდა, თან თვალს არ აშორებდა ნაჭაზე დაკიდებულ ლომის ქვაბს, ქოთანში ათუხთუხებულ ლობიოს, თხილის შამფურზე აცმულ ვარიებს, საკრიმანჭულოდ ყელს იწმენდდა და ყვებოდა:

— მართალია, დიდი დელიყანდი არაა, მარა გურული კაცის პირობაზე. დასაწუნი და დასაწიხლავი არაფერი აქვს, ერთი პაწა ხინჯი რომ არ გააჩნდეს — ნამეტნავად ნაპატივები ცხვირი აჯის სახეზე. მის ჩრდილს თუ ლამპა მარცხნიდან ანათებს, მარჯვენა მხარე ჩამობნელებული აქვს, ხოლო თუ მარჯვნიდან, მაშინ მარცხენამ მოგჭამა ჭირი — ბეჯითად უკუნი დაიპატრონებს. ისთე, შენ რომ კაი კაძახი ხარ და ამასთან ნააზნაურები ბრძანდები, ჩემო მიხეილ, ამას წინ რა უდგას, მარა მთლად უგვარო და ატაკუტა, გეუბნები მე შენ, არც ისაა — ჯაყელია, ბატონო, ჯაყელი! და, თუ ღმერთი გწამს, იმ უპატრონო თვერის გამოისობით ხელს ნუ ჰკრავ იმ კაცს და ამ გასახარელ ციცას ნუ დუუჭერ!

კერიასთან საპატარძლო თამარი ტრიალებდა, სმენად ქცეულიყო, მაკვარანცხი იპოლიტე ჰანუყვაძის სიტყვებს გულისფანცქალით ჰკრეფდა და ყოველი აუგის გაგონებაზე, ყური უტოკავდა.

მიხეილ ქარცივაძე. გებენივით კაცი, დამზერის ყბედობას ყურწაყრუებით უსმენდა, ბაიკოხით გატენილ ყალიონს ექაჩებოდა და თავისთვის ჭრიდა და კერავდა.

* * *

დრომ რომ გაიხანა, აკაკი ჯაყელმა შინ ბარათი გამოგზავნა: ჩემო კარგებო, აქაოდა ქობულეთში, ზღვის პირას ნაცხოვრები კაცი ყოფილხარო, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციაში გამამწესეს. ბევრი წვრთნისა და წრთობის შემდეგ გადამაკვალი-ფიკა-ციურეს და პირველი რანგის ტექნიკოს-ინტენდანტის ჩინი მიბოძეს... ახლა ამგზავრებული ვარ და გეზი ყირიმისაკენ მიჭირავსო.

აკაკის დანაყოფი ქერჩში რომ ჩავიდა, იგი ფაშისტ-დამპყრობლებისაგან ახალი განთავისუფლებული იყო.

ქალაქის პირობაზე ბევრი არაფერი დარჩენილიყო. ახლად განდევნილი მტერი ქერჩს დღედაღამ არ ასვენებდა, უტევდა უკიდურესად და დუღდა ზღვა და იწვოდა მიწა და ვარვარებდა ჰაერი.

და თითქოს განგებო, ამ მეორედ მოსვლას განიადაგებული შტორმი, ბიც დაერთო — შვიდი-რვა ბალის სიძლიერის ქარიშხალი ცასა და მიწას ასწორებდა.

სიცივეები დაეჭირა, სრუტე, მდინარე, ტბორი თუ გუბე გაყინულიყო და სარკესავით პრიალებდა.

პირველი რანგის ტექნიკოს-ინტენდანტს საქმეს რა გამოულევდა: ტექნიკური მოწყობილობაო, ტყვიაწამალიო, სურსათ-სანოვაგეო, ტანფეხიო, ავიაბენზინიო, დიზელის საწვავიო, საცხი-საპოხიო. ამ საქმეგამოულეველ კაცს ერთი საქმეც გამოუჩნდა: ქორწილში მიიწვიეს და, რადგან სადღეგრძელოები ქართველების მოგონილია, ბარემ მადლს მარილი მოაყარე და თამადად დაგვიდექიო, სთხოვეს.

ჩვენი ბედი ფინია ძაღლივით ნიადაგ ფეხქვეშ როდი გვიგორდება ხოლმე. და რახან მოკვდავნი ვართ, ჩვენი ყოფა, ჩვენი პატარა, ამქვეყნიური სიკეთე და სიამე, მგლის კბილებით უნდა გამოვგლიჯოთ ბედისმწერალს ხელიდან.

ჰოდა. ნურავის გაუკვირდება, რომ ამ ჯოჯოხეთური გენიის ტრიალში, ამ ცოდვა-მადლის განკითხვის ჟამს. აკაკი ჯაყელის ახალგაზრდა თანამებრძოლი. მესამე რანგის ტექნიკოს-ინტენდანტი ბედნიერდებოდა.

ამ დალოცვილ დედამიწაზე, მოგეხსენებათ, საქალეთი აურაცხელია. მაგრამ აქ. ამ დანაყოფში, მისი მხოლოდ ორად ორი წარმომადგენელი იყო — ყოფილი სტუდენტები, ახლა ფარაჯოსანნი მედდები—ალა და ვალია.

მწყაზარი. მალხაზი ქალიშვილები იყვნენ: ბიჭურად თმაშეკრეჭილებს, პილოტურა მოერგოთ, ჩექმის ყელი ჩაეკეცათ. ფარაჯის ბალთები შეეჭრათ და ჯიბეები მუხლისთავებზე უტყაპუნებდათ.

და აი, ერთ-ერთ მათგანზე — ალაზე ქორწინდებოდა და მასთან კანონიერ კავშირში შედიოდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის ოფიცერი.

ქორწილი ნაშუაღამევს შედგა, საგულდაგულოდ შენიღბულ. დახშულ და ნესტიან ოთახში.

ციოდა. მოხურულ-მობუდნული მაყრიონი — ექვსი კაცი და ერთი ქალი ვალია პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა. ბოლთას ცემდა, თვალი კარისაკენ ეჭირა. ერთ ყოფაში იყო, როდის გამოჩნდებოდა ნეფე-დედოფალი.

თამადას გაანდვეს: ვალია აბსოლუტური ყრუა, ერთ-ერთი დაბომბვის დროს აფეთქების ტალღამ ყურის ბარაბნები გაუხეთქაო.

კარი გაიღო და ნალოდინარი ნეფე-პატარძალი შემობრძანდა. სიძის გულდაგულ გაწმენდილ ფარაჯას პეწი დადებოდა, ჩექმები ბასმით გაეკრიალებინა და ლაპლაპი გაუდიოდა.

ალას ფრჩხილები წითლად შეეღება, ქუდიდან ჩამოშლილი თმა ტალღად ედგა და ლამპის შუქზე თვალის საამებლოდ ბზინავდა. დედოფალს, როგორც საქორწილო რიტუალს შეეფერება, თეთრი კაბა ეცვა, მკერდზე წითელი მიხაკი ებნია.

ნეფიონის ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ნეფე-პატარძალი გვერდიგვერდ, თავდახრილნი იდგნენ და მილოცვებს იღებდნენ. მილოცვები ჩამოთავდა და ალტაცებაც დაცხრა: „თეთრი კაბა“ ფარაჯაზე გადაკრული ბანდი აღმოჩნდა, წითელი მიხაკი კი — ქაღალდისაგან შეკოწიწებული სამშვენისი...

წინასწარ მოლაპარაკების თანახმად ქორწინების ცერემონიალი და რეგისტრირება, ქალაქში საამისო კომპეტენტური დაწესებულების არარსებობის გამო, დანაყოფის კომისარს უნდა ჩაეტარებინა.

— ამხანაგო კომისარო, უფლებაში შემიყვანეთ, თორემ ამდენმა ლოდინმა დამლია, მეტი აღარ შემიძლია, ავდგები, უგვირგვინოდ ჩავეხვევი, ჩავკოცნი ალას და მერე ცოდვად და ბრალად არ ჩამეთვალოს! — თქვა სასიძომ.

— ოი, ოი, რა მამა აბრამის ბატკანი ბრძანდები, ვითომ ერთხელაც არ გიკოცნია, აი! — უჩურჩულა ალამ და მკლავზე მწარედ უჩქმიტა.

სიძე-ბატონმა შეჰყვირა. მაყრიონი ახარხარდა.

— შვილნო ჩემნო, კარგად აწონდაწონეთ, განსჭვრიტეთ და განსაჯეთ თქვენი ნაბიჯი და გვირგვინის დადგმის პასუხისმგებლობა, უალრესი ნეტარება და უმეტესი სიმძიმე მისი?! — იკითხა კომისარმა, ყოფილმა თეატრალმა.

— კარგად, კარგად, ღირსო მამაო! — ღიმილით მიუგო ნეფე-დედოფალმა.

— მაშ, აკურთხე უფალო ესე მონა ღვთისა და ესე მხევალი მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი ამა დღესა — წელსა ათასცხრაას ორმოცდაორსა, თვესა იანვარსა, რიცხვსა ათორმეტსა კანონიერ და რჯულიერ მეუღლეებად და მყავ გვირგვინი მათი შეუბღალავი აწ და მარადის!

— ამინ, ამინ! — ყიჟინა დააყარეს.

სიცილ-ხარხარი მიწყდა, კომისარმა პლანშეტიდან ქაღალდი ამოიღო, ჩანაწერი გააკეთა, ნეფე-დედოფალს ხელი მოაწერინა, სხვებს გრიფის დასმა უბრძანა, თავადაც იგივე



გააკეთა და საბუთი დანაყოფის მეთაურს გადასცა.

მეთაურმა ბეჭედი დაარტყა, ჯერ ხელსახოცზე მოსინჯა, შემდეგ საბუთს დაარტყა და დედოფალს მიაწოდა. ალამ ქაღალდი მოწიწებით ჩამოართვა, სული შეუბერა, გაკეცა, გიმნასტურის ჯიბეში ჩაიდო. ქმარს ახედა და უთხრა:

— ციც, ფრთხილად იყავი, ახლა ვერსად წამიხვალ, ყმაწვილო!

— გორკა, გორკა! — გაისმა აქეთ-იქიდან.

უჩვეულო იყო საქორწინო სუფრა — თითოზე თითო ქაშაყი, თითო მჟავე კიტრი, თითო ქილა კონსერვი და შავი პურის ორ-ორი ორცხობილა.

სასმელად წყალში განზავებული სპირტი ედგათ.

დროდადრო კარი იღებოდა და ომი აფთარივით მოიწევდა ოთახში: ანაზდად ნათდებოდა უკუნი, ყურისწამღებად ღრიალებდნენ ბომბდამშენები, ამაზრზენი ზუზუნით სკდებოდნენ ყუმბარები.

აკაკიმ ხმა ამოიღო, მაყრიონი დადუმდა. სამშობლოს სადიდებელი ფეხზე ადგომით შესვეს. ახალჯვარდაწერილებს ამქვეყნიური, სიკეთე, სვიანობა და სიამტკბილობა უსურვეს.

შემდეგ მიჰყვნენ და მიჰყვნენ, საბედნიერო და საკეთილდღეო სადღეგრძელოები თქვეს, ომი, ხოცვა-ჟლეტა, გვემა და გოდება, თითქოს ტაბუ დაადესო, ერთხელაც არ უხსენებიათ.

სპირტმა თავისი გაიტანა — ზოგს კისერა მოუღერა და სიმღერის საღერღელი აუშალა, ზოგი წამოახტუნა და ცეკვა დააწყებინა. ვიღაცამ ღიღინით წამოიწყო: „Уходим завтра в море", ერთმა სუფრა გადასწია და საცეკვაო დაუკრა. ტაში გაახურეს. ცეკვა გააჩაღეს.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა: კაცები მორიდებით იდგნენ და ქალიშვილებს რიგრიგობით აცეკვებდნენ, მერე და მერე კი მშვენიერი სქესის წარმომადგენლებზე პირდაპირ ტაციობა გაიმართა — არც წესს დაგიდევდნენ, არც რიგს, ქალიშვილებს ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ; ცეკვავდნენ, ცეკვავდნენ, ცეკვავდნენ დაუსრულებლივ...

* * *

1942 წლის მაისი იდგა. მტერი ამჯერადაც ძლიერი აღმოჩნდა. ჩვენი ჯარი ქერჩს ტოვებდა.

ადრიანი დილა იყო, ზღვაური უბერავდა, გრილოდა, განუწყვეტლივ ისმოდა ტყვიებისა და ყუმბარების ბათქაბუთქი. ნავსადგურს კატარღა მოადგა და მეოცე ავიაბაზის უფროსის კორნეევის ბრძანება გადმოსცა: უკანასკნელი ჰიდროთვითმფრინავი, რომელიც ჩვენი ჯარების ევაკუაციას ამთავრებს, დაბურულ ზღვაში დგას, ერთადერთი ადგილი აქვს და პირველი რანგის ტექნიკოს-ინტენდანტს აკაკი ჯაყელს ელოდებაო.

აკაკი ჯაყელს ჩანთა ზურგზე მოედო და გამალებით მიიჩქაროდა ნავსადგურისაკენ. გვერდით, ქუჩის ნაპირას, მძიმე-მძიმედ მიმავალ ქალს წამოეწია. ეცნაურა, მიეახლა, ქალს სახეზე ჭორფლი მორეოდა, მუცელი დადებოდა, თეძოები დასრულებოდა. ემცხეთა, დააცქერდა:

— ალა, შენა?

— მე ვარ...

— ვალია? — ხელკავი გაუკეთა.

— სამი დღეა...

— რას ამბობ?! — გულით დაენანა.

„პირველი რანგის ტექნიკოს-ინტენდანტი სასწრაფოდ გამოცხადდეს კატარღაზე!" — ჩაერია მათ საუბარში რადიორეპროდუქტორი. აჩქარდნენ.

— ახლა?

— ვრჩები...

— როგორ თუ რჩები? ტრანსპორტი აღარაა.

— ვინ გითხრა რომ აღარაა?

კატარღასთან მიაღწიეს, აკაკიმ ოდნავი ბიძგით წინ მოიქცია ალა, ძალით ჩასვა კატარღაში და მენავეებს უბრძანა:

— აბა, ჩქარა, გაეცალეთ აქაურობას!

დაბნეული მენავეები აჩქარდნენ, კატარღა დაიძრა და სწრაფად განაპირდა. სულზე მიუსწრეს... ჰიდროთვითმფრინავი ატოკდა, აგუგუნდა, გასრიალდა, წყალი ააშხეფა, ჭვინტი მაღლა ასწია, ტანი აიზიდა, ზღვის ზედაპირს ასცდა და ცის ლაჟვარდში გაუჩინარდა.

ალამ მადლობითა და ცრემლით სავსე თვალებით მოიხედა უკან — იდგა ეს პატარა ტანისა და დიდი სულის ადამიანი სანაპიროზე და ხელის ქნევით ემშვიდობებოდა მომავალ დედასა და მებრძოლ მეგობრებს.

თითქოს ამას უცდიდაო, ნავსადგურში ბომბები ჩამოცვივდა, დედამიწა ამოატრიალა და ყველაფერი მოაშთო...

ასე ხელაწეული, მშვიდობისა და სიკეთის მოსურნე ჩაიბეჭდა აკაკი ჯაყელი ალას მეხსიერებაში.

* * *

იმავე დილით, თითქმის იმავე დროს, ქერჩიდან ძალზე შორს, ცხრა ზღვისა, ცხრა მთისა და ცხრა მდინარის მიღმა, დედა-შვილი ქობულეთიდან ფიჭვნარში მიმავალ გზას ადევნებოდა.

ქალს ერთი ხელით მხარზე გადებული ორი თოხი ეჭირა, ხოლო მეორეთი — თუნგულა მიჰქონდა. ბიჭს იღლიაში მსუბუქი ფუთა ამოეჩარა და დედას მთქნარებითა და თვალების სრესით მიჰყვებოდა.

იმ წელს მთავრობამ ყველა ფრონტელის ოჯახს საყანე მიწა გამოუყო. აკაკი ჯაყელის ჯალაბს ეს სახნავ-სათესი ქობულეთიდან არც ისე შორს, ეგრეთ წოდებულ ფიჭვნარში შეხვდა. ნაკვეთი დაბარეს, საადრეო სიმინდი დათესეს და ახლა გასამარგლად მიეშურებოდნენ.

უჩვეულო გვალვები იდგა და ჩქარობდნენ, სანამ მზეს პაპანაქება არ დაეწყო და ცვარ-ნამი არ აეორთქლა, ნეკისსიმსხო სიმინდის თოხნას შედგომოდნენ.

ფუთა და თუნგულა სხლტის ჩრდილში დადეს, ფეხთ გაიხადეს და ყანაში გვერდ-გვერდით თითო სვრელს დაადგნენ.

გიზო თოხის ყოველ მოქნევაზე პაწაწკინტელა ხელისგულებს ნერწყვით ისველებდა. მიწა იფშვნებოდა და მქადივით ნამცეცდებოდა. შვილს შარვლის ტოტები, ხოლო დედას კაბის კალთები დაუსველდათ და დაეთხვარათ.

პირველად ორივე სვრელი ტყუპის ცალივით ჰგავდა ერთმანეთს, მერე დედის სვრელი წინ წავიდოდა, შვილის მხარეს გადაიწევდა, გაგანიერდებოდა და გიზოს ერთი ხელის დადება სამარგლი რჩებოდა.

დედა-შვილს ნებებზე ბებერები აჯდა; გიზოს, გარდა ამისა, სახეზე სირსველი მორეოდა და მთლად დამშვენებული არც თავისი მოდგმის ავლადიდება ჰქონდა — აჭარხლებოდა და აქერცლოდა.

სვრელს გაიტანდნენ, სხლტეში გადავიდოდნენ, თოხისტარებზე ჩამოსხდებოდნენ და მჭადსა და პრასას გალოღნიდნენ.

— დედა, მამიკო მალე დაბრუნდება? — ჰკითხა მოულოდნელად გიზომ.

— მალე, შვილო, მალე. ფაშისტებს ცხვირს ამოუნაყავს და დაბრუნდება!

— დედა, ფაშისტებს დიდი ცხვირი აქვთ?!

— ისე, რა...

გიზოს გაელიმა, ცხვირი გაუბრტყელდა, თავი დედის კალთაში ჩადო და ჩათვლიმა.

„ვაი, დედაშენს, შვილო, რა დროს შენი სიმინდის თოხნაა. ან შენ როგორ ხარ ჩემო აკაკი, ეგებ გშია, ეგებ გწყურია? ვინ იცის, რამდენი რამ გინდა? როგორ გაკლია ჩემი ხელი?!" — გული დაეწვა თამარს.

* * *

ქერჩში, ბექობზე, ფაფარაყრილ ზღვას გადმომცქირალ ძმათა სასაფლაოზე მაღალი ობელისკი აღუმართავთ. ობელისკი მარმარილოთი მოუპირკეთებიათ და წარწერები ამოუტვიფრავთ.

ამ გრძელ ნუსხაში ქართული გვარი და სახელი ჰარბობს.

1977 წლის 14 ნოემბერია, ოხელისთან ქერა, შუახანს მიღწეული ქალი ჩამუხლულა, ხელავს წითელი მიხაკები აწყობს და ხან ხმამაღლა, ხან უხმარ ფიქრს მისცემია.

— აი, ისევ გინახულე, ჩემო ძვირფასო აკაკი ხოიევიჩ. ამჯერად მარტო არ მოვსულვარ, ჩემი პროფესორი შვილიც გაახლეთ. ამას წინათ გაზეთში თქვენი შვილის, გაიოზ აკაკის ძის პორტრეტი ვნახე და სიხარულით ცას ვეწიე. მკვდრეთით აღმდგარი მეგონეთ, სულ თქვენი ალი და კვალია, ზუსტად თქვენი ახლი.

თქვენმა და ჩემმა ნაშიერმა, ომის შვილებმა, რაღაც სასწაულებრივი დამთხვევით, ერთად მიიღეს წლევანდელი — საიუბილეო წლის სახელმწიფო პრემია. იგი თქვენ შვილს, ინჟინერს, თავის კოლეგებთან ერთად საბჭოთა კავშირში პირველი უნიკალური ახალი ათონის მღვიმის კომპლექსის შექმნისათვის მიანიჭეს, ჩემსას კი — მეცნიერებაში დიდი აღმოჩენისათვის.

აკაკი ხოიევიჩ! როგორ ვნანობ, რომ ამდენ ხანს არ ვიცოდი ცოლშვილი რომ გყავდათ... კაცმა რომ თქვას, ჩვენ ხომ კარგად არც ვიცნობდით ერთმანეთს... ღმერთმა სულ რაღაც სამი შეხვედრა გამოიმეტა ჩვენთვის: ერთი მაშინ, ჩემს ქორწილზე თამადად რომ ბრძანდებოდით, მეორე — ოთი კვირის პატარძალს მეუღლე რომ დამილუპა და მომიხამძიმრეთ, მესამედ—ძალით რომ ჩამსვით კატარღაში და ზღვაში შემაცურეთ.

ოცდათხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ. ოცდათხუთმეტჯერ გაიფურჩქნა და დაჭკნა მაისი უთქვენოდ, ჩემო კეთილო აკაკი ხოიევიჩ!..

ვიცი, დამნაშავე ვარ, ამდენ ხანს თქვენი ოჯახი რომ ვერ მოვძებნე, მაგრამ ახლა აღარ დავაყოვნებ და ბრალს ავიყრი: თქვენებს ვეწვევით სოხუმში და მოსკოვშიაც ვისტუმრებთ.

მაღალმა, ქუდმოხდილმა კაცმა დედა წამოაყენა, მუხლისთავები დაუფერთხა და გულზე მიიკრა.

• • •

ზოგჯერ ზღვასაც მოერევა მოგონებები, ერუანტელი დაუვლის, აცახცახდება და ლაჟვარდოვანი პირისახე დაუნაოჭდება.

თეთრი თოლიები თოვლის გუნდასავით აფრინდებიან ცაში, კამარას შეჰკრავენ, მხრებს ხიმარდში გააჭიბრებენ, მერე თავქვე დაეშვებიან, ზღვას დაენარცხებიან, დარდს დაურბევენ, მოგონებებს გაუფანტავენ...

და დგას მაღალი, მარმარილოთი მოპირკეთებული ობელისკი, დგას თვალმოუხუჭავად, დგას მრისხანედ, დგას როგორც ძახილის ნიშანი, რომ არასოდეს არ გავარდეს თოფი, რომ არასოდეს არ გასკდეს ბომბი, რომ არასოდეს არ იქნას კაცთა კვლა, რომ არასოდეს არ დარჩნენ უმამოდ ბავშვები,

არასოდეს, —

უკუნითი უკუნისამდე!



# ილია და ბათუმის ქართული სკოლა

1879 წლის 14 აპრილს ქართველი მოწინავე საზოგადოების ზრუნვის შედეგად მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წესდება.

„ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოება" დაარსდა იაკობ გოგებაშვილის ინიციატივით. იაკობ გოგებაშვილმა ამ საზოგადოების არსი გააცნო დიმიტრი ყიფიანს, ყიფიანმა თავის მხრივ საქმეში ჩააბა ილია ჭავჭავაძე, რადგან ილიას დიდი ავტორიტეტი საჭირო იყო ყოველი მნიშვნელოვანი საქმის საძირკვლის ჩაყრისა და განხორციელებისათვის.

1879 წლის 15 მაისს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის შენობაში გაიხსნა „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების" დამფუძნებელი ყრილობა, რომელსაც 45 დამფუძნებელი წევრი ესწრებოდა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. ყიფიანი, მოადგილედ — ილია ჭავჭავაძე, წევრებად: ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ივ. მაჩაბელი, ნ. ცხვედაძე და სხვები.

როგორც მისი თავდაპირველი სახელწოდებიდან ირკვევა, ამ საზოგადოების ძირითადი და უპირველესი მიზანი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელება, ქართული ენისა და კულტურის დაცვა-განვითარება; ეს კი უდიდესი ეროვნული საქმე იყო. ჟურნალ „ივერიის" „შინაურ მიმოხილვაში" ვკითხულობთ: „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და მისმა გამგეობამ მთლად აღასრულეს ყოველიფერი, რაც კი წესდებაში არის მოხსენებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს. გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლისოდ საგვარ-ტომო და თვით-მოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა კიდევ რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა" („ივერია", 1879 წ., გვ. 157).

„საზოგადოების" წესდებაში მთავარი საკითხი იყო ქართული სკოლის გახსნა და დახმარება უკვე არსებული სკოლებისათვის... „საზოგადოებას" უნდა ეზრუნა სახალხო მასწავლებელთა კადრების მომზადებისთვის, მოეწყო პედაგოგიური კურსები, ნიჭიერ მოწაფეთაგან ამოერჩია შესაფერი ხალხი და მოემზადებინა ქართული სკოლებისათვის; უნდა მოეწყო მასწავლებელთა ყრილობები, გამოეცა სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები, მოეწყო სახალხო კითხვები, დაეარსებინა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, წიგნის საწყობები, და მრავალი სხვა.

1879 წლის დეკემბერში იაკობ გოგებაშვილმა საზოგადოებას „წინადადებები" წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ ეს „წინადადებები" „საზოგადოების" მოქმედების პროგრამა იყო. „წინადადებებში" პირველ საკითხად დასმული იყო თბილისში ქართული სკოლების გახსნა. თბილისის სკოლები უნდა ყოფილიყვნენ როგორც მეთოდური ხელმძღვანელობის გამწევნი, რომლის გამოცდილებასაც სოფლის სკოლები გაიზიარებდნენ.

თბილისში ქართული სკოლის გახსნა პირველ საკითხად იქნა განხილული 1879 წლის ნოემბერს, ხოლო მეორე იყო — ბათუმში ქართული სკოლის გახსნა. სხდომას ხელმძღვანელობდა საზოგადოების თავმჯდომარე დ. ყიფიანი.

რადგან რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ აჭარა საქართველოს შეუერთდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბათუმში ქართული სკოლის გახსნა, საჭირო იყო ახლად შემოერთებულ მოძმეებზე ზრუნვა.

„საზოგადოებამ" ბათუმში სკოლის გახსნის საკითხი ორჯერ განიხილა, მეორე სხდომას ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა (დ. ყიფიანი სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ქუთაისში იმყოფებოდა). ოქმში რეზოლუცია ილია ჭავჭავაძის ხელით არის ჩაწერილი.

განსაკუთრებით საინტერესოა მეორე დადგენილება; დიდ მოაზროვნეს მისთვის ჩვეული პუნქტუალობა და გულისხმიერება გამოუჩენია და ყოველი წვრილმანი გაუთვალისწინებია .

1879 წლის 12 დეკემბრის კრების ოქმში პირველ საკითხად შეტანილია ბათუმის სკოლის გამართვა. ილია ჭავჭავაძის ხელით ჩაწერილია: „ბათუმში სკოლა გაიხსნას შეძლებისდაგვარად იანვრის 1881 წლისას... სკოლის ხარჯისა და მოქმედებისა დაინიშნოს სექტემბრიდან სექტემბრამდე. პირველ დაწყებითი სკოლის ხარჯი ამ რიგად იყოს: 1. მასწავლებელს დაენიშნოს ორმოცი თუმანი ჯამაგირი; 2. მოლას-ოცი თუმანი; 3. სახლის ქირა — ოცდაექვსი თუმანი; 4. მოსამსახურეს — თორმეტი თუმანი; 5. შეშისათვის — ექვსი თუმანი და წვრილმანი ავეჯეულობისათვის — შვიდი თუმანი; თუ ვინცობაა საზოგადოებისაგან მინიჭებული კრედიტი არ გასწვდეს წლის განმავლობაში ხარჯსა, მომავალს კრებას მოხსენდეს და ეთხოვოს დამატებითი კრედიტი. რადგანაც მასწავლებელს თავის ოთახის მოწყობილობისათვის ხარჯი მოუნდება, ამიტომაც წინად გადაწყვეტილი ოცდაათი თუმნიდან მიეცეს დანარჩენი თორმეტი თუმანი და ნახევარი, გარდა ამისა, რადგანაც მასწავლებელი დანიშნულია ორი ნოემბრიდან, ჯამაგირი ამ დღიდამ მიეცეს ოთხს თებერვლამდე 1881 წ. წინად დანიშნულ ოცდაათს თუმნის უკან დასაბრუნებლად თვეში ერთი თუმანი დაეჭიროს, რადგანაც სამის თვის ჯამაგირი ეხლავ ეძლევა. სეკრეტარს მიენდოს, რომ დაუყონებლივ შეუდგეს სკოლის მებელის გაგზავნას და გაგზავნილ იქნას არა უგვიანეს 15 დეკემბრისა. მასწავლებელს მიეცეს მოწერილობა, რომ ოცდახუთს დეკემბრამდე უეჭველად ბათუმში იყოს და ეცადოს შეგირდები შეაგროვოს. ილია ჭავჭავაძე".

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „საზოგადოების" მიერ დაარსებულ სკოლაში მასწავლებელს საგანგებოდ არჩევდნენ. „საზოგადოების" რომელიმე წევრის რეკომენდაციის შემდეგ კიდევ ფარული კენჭის ყრით ხდებოდა მასწავლებლის დანიშვნა.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ბათუმში გასაგზავნი მასწავლებლის შერჩევას. წამოყენებულ მრავალ კანდიდატთაგან შეარჩიეს ალექსანდრე ნანეიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მას „საზოგადოების" წევრების უმრავლესობა და მათ შორის ილია ჭავჭავაძეც აძლევდა რეკომენდაციას, ფარული კენჭისყრა მაინც მოუხდინეს. ამის შესახებ კრების ოქმში ვკითხულობთ: სხდომას დაესწრნენ თავმჯდომარის ამხანაგი ი. გ. ჭავჭავაძე, ი. ს. გოგებაშვილი, ი. გ. მაჩაბელი, გ. მ. თუმანიშვილი, ი. ე. გამყრელიძე, გ. ე. წერეთელი, ა. ი. სარაჯოვი, დ. ი. მეუნარგია. პირველ საკითხად განხილული: „ბათუმის სკოლის ოსტატის არჩევა". ოქმს ილია ჭავჭავაძის ხელით მიწერილი აქვს: „სახლი უქირავებიათ 260 მანეთად. მებელი მზად არის"... დადგენილებაში წერია: „კენჭი ჩამოუტარეს და ამოირჩიეს ალექსანდრე ნანეიშვილი, რომელსაც ამოუვიდა რვა თეთრი კენჭი, ორი შავი, ერთმა კენჭი არ მისცა. ეხლავე ეცნობოს ნანეიშვილს ტელეგრაფით და თუ თანახმა შეიქმნება, გზის ფულად გაეგზავნოს, რასაც მოითხოვს... ხოლო არა უმეტეს ოცდაათის თუმნისა იმ პირობით, რომ წლის განმავლობაში ჯამაგირიდამ გამოერიცხოს. ილია ჭავჭავაძე" (ცსსა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი 83 №31).




ილია ჭავჭავაძეს შემდგომშიც არ შეუწყვეტია ბათუმის ქართული სკოლისათვის ზრუნვა.

ქეთევან ხაჩიაშვილი

## წიგნიდან:

### ფრიდონ ხალვაში

მიმდინარე წელს ასი წელი სრულდება დედა საქართველოსთან აჭარის დაბრუნებიდან. ახალი წიგნი ამ თარიღს ეძღვნება.

### მადლობა

მწუხარება დავჩაგრე,
დადგა ჩემი ვარდობა,
რაც ბედისგან დამრჩა მე,
საქართველოვ მადლობა!

მიჯაჭვული მინარეთს,
სულ ვტიროდი, — მარტო ვარ,
რა სინათლეც ვინატრე,
მენათება, მადლობა!

დაუღლელი იმედი
ტაძარივით მაღლობდა,
შენ ძუძუსთან მოვედი,
საქართველოვ, მადლობა!

მტერმა მკლავი გადაშჭრა,
ჩაწყდა ძარღვის ძარღვობა,
მაგრამ სისხლი გადარჩა,
საქართველოვ, მადლობა!

მაშ, დიდება, შენი მზის
ჩემ თვალებში ჩადნობას!
იარები შევიხსენ,
საქართველოვ, მადლობა!

არვინ შეცდეს, ვიცოდეთ
რა ყოფნაა, რა დროა!
საქართველოვ, იცოცხლე,
საქართველოვ, მადლობა!

## ასი მზე

### ფიქრები

კარლო კალაძეს

შეჩვეულები თბილისს და ბათუმს,
შეხვედრებს, ლხენას, უდარდელობას,
ცრემლით ვხედავდით, თუ როგორ ათბობს
ბურსაშიც ქართველს ეს ქართველობა.

ფიქრები გვანან მდუღარე ჭორობს,
რომელიც მოდის და არ კლებულობს.
ამ ფიქრმა, ძმაო, ნუ დაგვაშოროს
განუშორებელ დაშორებულებს.

ასეთი გვერგო ლხენა და ტანჯვა,
ჩვენთვის ტკბილია ჩვენი სიმწარეც.
მოდი, ვიმღეროთ, რომ გაიმარჯვა,
რაც შევიყვარეთ და რაც ვიწამეთ.

ამ დიდ ფიქრებში ისევ და ისევ
ერთად ვიცოცხლებთ, ერთად ვიქნებით,
ძმები ვართ, რადგან ქართული მზისკენ
სხვა ძმებისთვისაც გზას მივიგნებდით.

### ცხმორისი

პატარა თანასოფლელებს

მზე პირველად აქ შემომხვდა,
სხივით სხივზე დართული,
ამ შარაზე დავინახე
ბორბალი და მავთული.

ამ კერასთან ამიღია
სადღეგრძელო პირველი,
აქ ვიგრძენი მეგობარის
გული — გულთამხილველი.
აქ მოვდენე, შევიჩვიე
სიტყვა ხამი, უხეში,
აქ შევები დაკონკილი
ბიჭი ლექსის უღელში.
ვთქვი უბრყვილოდ:
მე ამ მთების შვილი ვარ და
ბედი ვარ,
ოჰ, მინდოდა სულ უბრალოდ
ამ ლოდებთან მეტირა,
გამოქექილ სახელოებს
სევდის ძაფით ვკერავდი,
ზურგჩანთაში თბილად მედო
წიგნი ნაცარკვერათი,
დამალული სიყვარული
ხევ-ხევ მემალებოდა,
სულ პატარა დიდი გული
დღეში ასჯერ კვდებოდა.
ამ ჩემ ახალგამოწვართულ
ქართველობას ელოდა
ბევრი ეთერი გაშლილი,
ბევრი მწველი რთველობა.
ის პირველი სხივი ვლოცოთ,
რომ აყვავდა აკვანთან,
მშობლიურის მოგონება
ვერაფერმა წაგვართვას.

• • •

არ მომწყინდება მზესთან თამაში,
ვლოცავ, სიცოცხლე ვინაც მალირსა.
სამი სინათლის ძალა მპატრონობს:
მზის, კერიის და შენი სახისა.

შენკენ მოვდივარ, მიწა ნაზია
და მსურს შიშველი ფეხი დავადგა,
რომ ჩავაყრონო მას ჟრუანტელი,
რითაც ვხარობ და რითაც ავად ვარ.

შენა ხარ ჩემი ცეცხლი და აბლი,
ჰყავი უბრალო, როგორც იელი.
ბედნიერება მაშინ მერგება,
როდესაც შენით ვარ ბედნიერი.

• • •

სიტყვა ვამგვანოთ მქუხარე ჭორობს,
რომელიც მოდის და არ კლებულობს,
ვერც ერთმა მტერმა ვერ დაგვაშოროს
ჩვენ, თვალმზიანო შეყვარებულო!

### ქარი და ნანგრევები

ქარო, ავქარო, ოხერტიალო,
ამ გაქვავებულ დიდების წინა.
აქ ჩემი სისხლი წვეთავს და წვეთავს,
აქ ჩემი პაპის თვალები ბრწყინავს.

ქარო, დაეცი და დაიმუხლე
ქვებზე შიშვლად რომ დაიარები.
ეს არ გეგონოს სიკვდილ-სიმუნჯე,
ეს სიცოცხლეა და იარები.



### შ ე ნ!

შენ, ჩემო ნდობავ, გამთბარო კალთავ,
მაღალო რწმენავ, ნათქვამო სევდავ,
შენ მიმწიფებდი იმედის თავთავს
ლოდინის ველზე, სიკეთის სერთან.

ტკივილის ვარდო,
ღიმილის დარდო,
სიკვდილის მკვლელო, მნათო სიბნელის,
ოცნებებს შენზე ოცნება სარდლობს,
ვიწვი, ეს ცეცხლი ნუმც დამინელოს.

კარგს ეთქმის კარგი, ცუდს ეთქმის ცუდი,
შენ ის ხარ, მუდამ როგორსაც გხედავ,
შენი სინათლე საგნებში წვეთავს,
ეს გრძნობა მთლიან სიცოცხლეს უდრის.

# ასმერვე კილომეტრზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მე ხომ შევამჩნიე შენი გაკვირვება, ქალი რომ ვერ დაინახე შესახვედრად მოსული? კაიშაური მაინც საიდან მოიგონე? კარგი და ჩემ მაგივრად მილიციელები რომ დაგხვედროდნენ, ხომ ჩავარდებოდი?! — ბანდიტი აშკარად ლაპარაკის გუნებაზე იყო, რამაც მიშა კვლავ დააეჭვა.

„ვინ ქალზე მელაპარაკება, რა შუაშია აქ ქალი?“ — უნდოდა ეკითხა მიშას და ენა ჩაუვარდა. „მოკავშირე ქალი ყოფილა?!“—გაახსენდა მაიორ ფერაძესთან საუბრის დეტალები. იგი მაშინ გაურბოდა მეკავშირეზე ზუსტი ცნობების მიცემას. „როგორ თქვა? იმ საქმეში, სადაც ჩვენ, ჯანღონით სავსე მამაკაცები უძლურნი ვართ, ზოგჯერ სუსტი სქესი მეტს აკეთებსო. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. როცა მიშამ იმის მტკიცება დაიწყო, რომ მეკავშირესთან ერთად შეძლებდა „გიურზას“ აყვანას, ფერაძემ კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია, ეს გამორიცხულიაო, კი მაგრამ, თუკი მაიორმა იცოდა, მეკავშირე, ქალი რომ იყო, რატომ არ გააფრთხილა იგი?!“

— შენ რა, ენა ხომ არ გადაყლაპე?! — „გიურზამ“ ფიქრის ძაფი გააწყვეტინა მიშას. ხმაში სუსხი შეეპარა. ისინი კვლავ პირისპირ იდგნენ, ბანდიტმა მძიმედ წამოსწია შაშხანა. მხოლოდ ახლა მიხვდა მიშა, რომ ოპერაციის ბედი „ბეწვზე ეკიდა“.

— მერე რაღა საჭიროა ქალი ასეთ საქმეში... — დაძაბულად მიუგო მიშამ, — არ მოვიდა, არც არის საჭირო. რაც უფრო ნაკლები ვიქნებით, უკეთესია. ალბათ, შენ ამ საქმეში საკმაო გამოცდილება გაქვს! — კომპლიმენტი უადგილო და არადამაჯერებელი ჩანდა, მაგრამ ბანდიტს იგი მოეწონა და კონფლიქტიც ამით ამოიწურა.

— მე მაინც უნდა ვიცოდე, სად არის მეკავშირე? მთელი ეს საქმე მას გავანდე; და თუ იგი ნაწყენი დამრჩება, მტრად მომეკიდება. შენ დაჰკრავ ფეხს და გადაიკარგები ფულიანად. მე რა ვქნა? იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს იმ ქალმა მილიციაც კი მომაყენოს კარზე?!

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს! სხვაზე მეტად საკუთარ თავს ვენდობი!..

მიშამ მშვიდად გააყოლა თვალი შაშხანას და „გიურზას“ შეხედა. იგი თითქოს ყოყმანობდა, რაღაც ვერ გადაეწყვიტა.

— უნდა ვიჩქაროთ, — ძლივს გასაგონად თქვა მიშამ, — თუ მომყვები... — მან მსუბუქად დაჰკრა ბანდიტს მხარზე ხელი.

„გიურზა“ ფიქრებში იყო წასული, შემდეგ მიშას მოულოდნელად ჰკითხა:

— გორკში თუ ყოფილხარ?!

— როგორ არა, — გააგრძელა მიშამ პასუხი, — ამხანაგმა მანქანა იყიდა იქ. კარგი დრო გავატარეთ. ორი ათასი მანეთი სახარჯო ფული წავიღე... ამდენივე ჩემს ამხანაგს ჰქონდა წამოღებული... ქალები... რესტორანი, მოკლედ, არაფერი დაგვიკლია!..

ეს „თავისუფალი თემა“ გახლდათ და როცა მიშამ ბანდიტს დაინტერესება შეატყო, მთლად მოუხსნა პირი გუდას. ხელაია საკუთარ ფანტაზიას ენდობოდა და რაც შეიძლება დამაჯერებლად ხატავდა იმ ცხოვრებისეულ სურათებს, რომლის გულისთვისაც“ „გიურზა“ საქმეზე“ უნდა წასულიყო.

— მე იქ ქალი მყავდა... დიდი ხნის წინათ... — „გიურზას“ ხმა გაებზარა.

„აი, თურმე რატომ დაინტერესდა გორკით“, — მიუხვდა მიშა. იგი ახალგაზრდობიდან ოცნებობდა უდარდელ ცხოვრებაზე. ახლა კი გადაწყვიტა რა გზითაც არ უნდა იყოს, მიიღოს იგი“.

— როგორ ფიქრობ, კიდევ ვემახსოვრები იმ ქალს?

— თუ უყვარდი, აუცილებლად ემახსოვრები!

„გიურზა“ პასუხით კმაყოფილი დარჩა.

— ვიშოვი ფულს და პირდაპირ მასთან გავფრინდები! — გადაჭრით თქვა ბანდიტმა, — ჰო, მართლა, რამდენი უნდა წამოიღოს მოლარემ, სამოცი ათასი, არა? სამზე რომ გავყოთ, ჩემ წილად ოცი ათასი მანეთი...

— შენ რა, გორკელი ციცასათვისაც წილს ხომ არ ითხოვ?! — „აფეთქდა“ მიშა და ეს ისე ბუნებრივად გამოუვიდა, კინაღამ გაეცინა.

— მე მეკავშირეს შევპირდი თავის წილს! — შაშხანა აიქნია ბანდიტმა.

— არც ისეთი ჭკვიანი ყოფილხარ როგორიც მეგონა, — მიშამ ხმას დაუწია, თითქოს ეშინოდა, მათი ლაპარაკი არავის გაეგო, — რა საჭიროა ქალმა გატაცებული ფულის რაოდენობა იცოდეს. ვუთხრათ, რომ სამი ათასი მანეთის მეტი არ იყო, მაშინ იგი ათას მანეთსაც დაჯერდება. შენ გორკში უნდა წახვიდე... მეკავშირე კიდევაც რომ მოსულიყო, მე მაინც ასე მქონდა გადაწყვეტილი.

მიშას ნამდვილად ასე ჰქონდა ჩაფიქრებული. ბანდიტს შეიძლება, მართლაც, მოპრიანებოდა ქალის თან წამოყვანა. ეს კი გაართულებდა ჩასაფრებულთა ამოცანას. ბანდიტი ყოყმანობდა. მიშა კვლავ შეტევაზე გადავიდა:

— არა, ძმაო, ვატყობ, ამ საქმიდან არაფერი გამოვა! ოცდაათი ათასი მანეთი შენ დიდი ფული ხომ არა გგონია?! მაგასაც დავაკლო? არავითარ შემთხვევაში! შენ მთელი შენი ცხოვრების აგებას მაგ ფულზე აპირებ. იცი მარტო ბილეთი რა დაგიჯდება გორკამდე? ახლა ყოველდღიური ხარჯები?!

მიშა არ ცდებოდა. ტყეში გავარდნილმა ბანდიტმა მართლაც, არ იცოდა ცხოვრების პრაქტიკული მხარეები და ეს გახლდათ მიშას კოზირი. როცა მან გორკამდე გზის ღირებულება სამას მანეთამდე გააძვირა, ხოლო ყოველდღიური ხარჯები ორას მანეთს გაუთანასწორა, „გიურზამ“ ეს დაიჯერა. „ალბათ, ახლა მაინც დამიჯერებს ზედმეტი ხალხის წილში გაყვანა საჭირო რომ არ არის!“ — გაიფიქრა მიშამ.

„გიურზას“ თავი დაეხარა და სდუმდა. ცოტა ხნის შემდეგ პირქუშად წარმოთქვა:

— სოფელში მაინც უნდა ავიდე... მეკავშირე რაიმეს რომ მიგვიხვდეს, გაგვყიდის. უნდა მოვკლა!

— სულელო! — გულწრფელად იყვირა მიშამ, — ბევრი იფიქრე, ვიდრე მაგ განაჩენს გამოიტანდი? რამდენიმე საათში ორივენი მდიდრები ვიქნებით და მერე ეძიე ქარი მინდორში!

მას ვერ წარმოედგინა, თუ რა წამიერად ეცვლებოდა გეგმები „გიურზას“. მეკავშირეს საფრთხეში ჩაგდება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. „თუ იგი ნაბიჯს გადადგამს სოფლისაკენ, ცეცხლს გავხსნი“, — გაიფიქრა მან და შეუმჩნევლად გააცურა ხელი იარაღისაკენ.

„გიურზა“ კვლავ დაფიქრებული იდგა.

— ორნი წავიდეთ! — თქვა ბანდიტმა და პირველი შევიდა კაბინაში. მიშამ მინა ჩამოსწია. „გიურზამაც“ იგივე გააკეთა. მანქანა ადგილს მოწყდა.

— შენი სახელი მაინც მითხარი? — მიშა „გიურზასაკენ“ შეტრიალდა.

— დიმიტრი დამიძახე! — უდარდელად მიუგო მან, მიშა მიხვდა, რომ იგი საბოლოოდ დამშვიდდა. ხელაიაც დაწყნარდა და თითქმის მკერდით მიეყრდნო საჭეს. „ბანდიტი ჩემთან არის! საინტერესოა, ასმერვე კილომეტრზე თუ იციან ამის შესახებ?“ — გაიფიქრა მან და თან გაუთავებლად „სულიკოს“ უსტვენდა.

— შენ რა, „სულიკოს“ მეტი არაფერი იცი?! — ჰკითხა ბანდიტმა.

მიშა ახლა მიხვდა, რომ პაროლს იმეორებდა, რომელზედაც მაიორი ფერაძე და იგი შეთანხმდნენ წარმატების შემთხვევაში. „დროულად კი გამომივიდა“, — გაიფიქრა კმაყოფილმა ხელაიამ.

— ჩვეულებაა! — მიშამ ისე მიიხედა „გიურზასაკენ“, მანქანის სიჩქარე არ შეუნელებია.

„დავალების პირველი ნახევარი შესრულებულია — ბანდიტი ჩემთანაა. როგორ და რა მიზეზით შევაჩერო მანქანა ჩასაფრების ადგილთან, ასმერვე კილომეტრზე?“ — ფიქრობდა იგი.

წინ მკვეთრი მოსახვევი გამოჩნდა და მიშამ შუქი გადართო. როცა მოსახვევი უკან დარჩა, მან კვლავ შორი შუქი ჩართო, ვერც კი მოასწრო იმის გააზრება, თუ რა მოხდა, ბანდიტის შაშხანა ყელზე რომ მიებჯინა. მიშა ინსტიქტურად დააწვა მუხრუჭს. მანქანა მოცურდა, მისი უკანა მხარე კლდეს მიეჯახა და იგი გზის გარდიგარდმო გაჩერდა.

გაგრძელება. იხ. „დროშა“ № 4.

— შენ რა, სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია?! — იყვირა ბანდიტმა და ხელისგული შაშხანას დაჰკრა.

„გიურზას“ მკვდრისფერი ედო. მანქანა მისი მხრიდან დაეჯახა კლდეს და იგი საკმაოდ შეაჯანჯღარა.

— ვის აძლევდი სიგნალს? ვის აძლევდი-მეთქი?! — ღრიალებდა იგი.

ასეთი არაადამიანური თვალები მიშას არასოდეს ენახა.

— წადი შენი... მშიშარა ყოფილხარ! შენ რა, პირველად ზიხარ მანქანაში? — ხელი აიქნია მიშამ, — გზა აღარ გავინათო? ასე თუ გააგრძელე, ორივე ხრამში გადავიჩეხებით!

„გიურზას“ არაფერი უპასუხნია, თითქოს დანაშაული იგრძნოო, საზურგეს მიეყრდნო და თვალი მილულა. მანქანა ნელა მიდიოდა. მიშა დაბალ ხმაზე უსტვენდა „სულიკოს“ და თვალს აპარებდა შაშხანისაკენ, რომელიც ბანდიტის მუხლებშუა ქანაობდა.

ბანდიტს ჩაეძინა. ხელაიამ შეხსნილი ქურთუკის ქვეშ ავტომატს მოჰკრა თვალი. „უნდა შევამოწმო, ხელყუმბარები ხომ არ აქვს“, გაიფიქრა მან. მიშას საშუალება მიეცა კარგად შეეთვალიერებინა ბანდიტი. მიუხედავად მოუვლელობისა და მოშვებული წვერისა, მას სახის ლამაზი ნაკვთები ჰქონდა; სწორი ბერძნული ცხვირი და ჯიუტად მოკუმული ტუჩები მკაცრ გამომეტყველებას აძლევდმენ წიფურიძეს. მას კუპრივით შავი ულვაშები ჰქონდა, მისი სიშავე განსაკუთრებით ჩანდა ფართო შუბლზე ფაფარად ჩამოშლილი თოვლივით თეთრი თმის ფონზე. შუბლი ერთიანად ჭრილობებს დაეღარა.

— გესმის, დიმიტრი, — გაალვიძა იგი მიშამ, — ძალიან გაგთეთრებია თმა!

— რაო?! — ბანდიტი ისე წამოხტა, თავი კაბინის ჭერს მიახალა.

— თმა გაგთეთრებია-მეთქი!

— ბევრ ბრძოლაში ვარ გამოვლილი! — სხვათა შორის თქვა მან.

მიშა მიხვდა, თუ რა „ბრძოლებზე“ ლაპარაკობდა წიფურიძე.

— შენ რა, ომში ყოფნაც მოასწარი?!

— ესე იგი, მოვასწარი! — „გიურზა“ საუბრის სურვილს არ ამჟღავნებდა. მას რული მოეკიდა; ეს მიშას არ აწყობდა — ასმერვე კილომეტრზე მანქანის გაჩერების მიზეზი ჯერ კიდევ არ ქონდა მოფიქრებული.

— იარაღი? — მიშამ ჯერ ავტომატზე მიანიშნა, შემდეგ კი შაშხანაზე, — ეგენიც ომიდან შემოგრჩა?

— იარაღი, მართლაც, ომისდროინდელია! — დაეთანხმა იგი, — ეს სიკეთე მთებში საკმარისად გაგვაჩნია!

კაცი, რომელიც მიშას გვერდით ასე მშვიდად იჯდა, ცამეტი წელი ემალებოდა მართლმსაჯულებას. ბანდიტს იშვიათად თუ შეეკითხებოდა ვინმე რაიმეს. იგი თითქმის არ ხვდებოდა ხალხს, ან თუ ხვდებოდა, მისთვის შეკითხვის მიცემისა ეშინოდათ.

ალბათ, აღარც შორეული აგვისტოს მზიანი დღე ახსოვდა, როცა ორ თაკის კბილა მეზობელთან ჩხუბში თოფს წამოავლო ხელი და ორივენი დახოცა. შემდეგ ხმები დადიოდა, „გიურზა“ ამ ჩხუბში მართალი იყოო, მოსაკლავად გაიმეტეს და მანაც თავი დაიცვაო. იქნებ, ასეც იყო. მაგრამ ისევ წიფურიძის გამო საქმე სულ სხვაგვარად შეტრიალდა.

ცამეტი წლის განმავლობაში მან მიაჩვია საკუთარი თავი, აღარ გაეხსენებინა ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. მას არ უნდოდა თავისი პირველი მკვლელობის გახსენება. არ უნდოდა თავისი ბოლო ბოროტმოქმედების გახსენებაც, როცა იგი გარშემორტყმული სახლის სარდაფიდან უმიზნებდა ახალგაზრდა ოფიცერს მეგაფონით ხელში და რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ ავტომატის ჯერი დაახალა.

პირველ ხანებში იგი ნათესავებში აფარებდა თავს. მაგრამ დადგა დრო, როცა მას წასასვლელი აღარსად ჰქონდა. ბანდიტს მარტოობის გრძნობა დაეუფლა. მაშინ ეგონა, რომ მართლმსაჯულება თანაგრძნობას გაუწევდა და აპატიებდა ჩადენილ დანაშაულს. მის წარმოდგენაში ისახებოდა საერთო მხარდაჭერა და „გიურზა“ შენდობის წერილს აგზავნიდა პროკურორის სახელზე. იგი ითხოვდა პატიებას, მონანიებაზე ფიქრს კი ბანდიტი ვერ ბედავდა.

სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი მიშა ხელაია, რომელიც ბანდიტის გვერდით იჯდა და ძნელადსავლელ გზაზე მშვიდად მიჰყავდა „სანუკვარი განძი“, უკვე საკმაოდ გარკვეულიყო „გიურზას“ ფსიქოლოგიაში. მას ესმოდა, რომ დამნაშავემ შეიძლება პატიება არ ითხოვოს, ან უბრალოდ არ გამოტყდეს, მაგრამ თავისუფლებისაკენ ლტოლვა, თუნდაც ისეთი თავისუფლებისაკენ, როგორიც დამნაშავეთა სამყაროშია მიღებული, მას მოსვენებას არ მისცემდა და ვერც ბანდიტი გაუწევდა წინააღმდეგობას საკუთარ გულისთქმას.

ლეიტენანტმა იცოდა, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად ამ შემთხვევაში წიფურიძე მხოლოდ ერთადერთ ნასკვს დაებღაუჭებოდა, ეს ნასკვი მიშა იყო.

„გიურზა“, მართლაც, უფრთხილდებოდა ამ ნასკვს და სამართლიანად თვლიდა მას თავისუფლებისაკენ მიმავალ ერთადერთ ბილიკად იგი არ ფიქრობდა იმაზე, რომ თავისუფლება, რომელიც „თავისი წილი“ ფულით უნდა შეიძინოს, არც ხილია და არც განძეული; არავის შეეძლო ეთქვა მისთვის, რომ საკუთარ თავისუფლებას ყიდვა არ სჭირდება...

ბანდიტს სულაც არ აწუხებდა ის ამბავი, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად მას კვლავ დანაშაული უნდა ჩაედინა. მომავალ „პატიოსან და თავისუფალ“ ცხოვრებაზე ფიქრი მას ისე წმინდად ეხატებოდა და იმდენად ღირსეულად მიაჩნდა ამისათვის საკუთარი თავი, რომ ეს ნაბიჯი მონანიებადაც კი მიაჩნდა. ამიტომ მოლარის გაძარცვა ოდნავაც არ აღელვებდა.

(დასასრული იქნება)

# გასტელოს გმირობა გაიმეორა



ნოვოროსიისკის სახელთან დაკავშირებული შვიდთვიანი ლეგენდარული ეპოპეა გამარჯვებით დამთავრდა.

თავგანწირული ბრძოლით მოპოვებულ წარმატებას შენარჩუნება, თანდათან გაღრმავება და კიდევ უფრო მეტად განმტკიცება სჭირდებოდა.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაში, მთელ რიგ სხვა პრობლემატურ საკითხებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გერმანელ ფაშისტთა მიერ შავ ზღვაში თავმოყრილი უამრავი საბრძოლო ხომალდის აღმოჩენას, მათ განადგურებას და მწყობრიდან გამოყვანას.

როცა დაზვერვით ცნობილი გახდა, რომ შავი ზღვის ნავსადგურ კონსტანცაში თავმოყრილი იყო მტრის უამრავი ხომალდი, დაუყოვნებლივ შეიქნა ბომბდამშენთა და ავიაგამადგურებელთა საგანგებო ჯგუფი, რომელსაც ფაშისტების გემების მოსპობა დაევალა.

დრო აღარ ითმენდა. ავიაგამანადგურებლების ჯგუფი სწრაფად მოწყდა აეროდრომს, ცაში აიჭრა და სარდლობის მიერ დასახული ამოცანის შესასრულებლად გაეშურა.

წინ მიმავალ თვითმფრინავს ქართველი ვაჟკაცი შიო ბიძინას ძე ბიძინაშვილი მართავდა; მას თითქმის მხარდამხარ მიჰყვებოდა მეორე ავიაგამანადგურებელი, რომლის საჭეს რიხლოვი უჯდა. დანარჩენი ხომალდებიც ზუსტად, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით სწრაფად უახლოვდებოდნენ ნავსადგურს.

ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ შიო ბიძინაშვილმა ჯერ ლენინგრადის საფრენოსნო სამხედრო-თეორიული სკოლა დაამთავრა, შემდეგ ქ. ბორისოვის სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებელი, დიდი სამამულო ომის წინა წლებში კი ჟუკოვის სახელობის აკადემიაში სწავლობდა.

თეთრ ფინელებთან ომში შიო ბიძინაშვილი საავიაციო პოლკს მეთაურობდა; გმირობის გამოჩენისათვის იგი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს და პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

დიდ სამამულო ომში პატრიოტმა ვაჟკაცმა კვლავაც ისახელა თავი. იგი დაუნდობლად ანადგურებდა ვერაგულად შემოსეულ მტერს.

აი ახლაც, საბჭოთა თვითმფრინავები სწრაფად უახლოვდებოდნენ ნავსადგურს. „ტყვიის წვიმა“, მხოლოდ ასე შეიძლება შეერქვას იმ მასირებულ გადაჯვარედინებულ ცეცხლს, რომლითაც გაავებული მტერი ცდილობდა გზა გადაეღობა ჩვენი საზღვაო ავიაგამანადგურებლებისათვის.

შიო ბიძინაშვილი პირველი შეტევისთანავე დაიჭრა. ნირი არ შეუცვლია მტრის ზიზღით აღვსილ ვაჟკაცს, იგი შეუპოვრად განაგრძობდა ბრძოლას. დაჭრილი საბჭოთა მფრინავი ოსტატურად მართავდა საჭეს, ტყვიებით დაცხრილული ხომალდი მოულოდნელ პიკირებაზე გადაჰყავდა, შემდეგ ისევ ცაში იჭრებოდა, სამიზნეს უსწორდებოდა...

ბრძოლაში გართულმა რიხლოვმა მოულოდნელად მის გვერდით ცეცხლმოდებული თვითმფრინავი შენიშნა, რომელიც სწრაფად ეშვებოდა ზღვისაკენ.

ეს იყო შიო ბიძინაშვილის ტყვიებით დაცხრილული, ცეცხლის ალში გახვეული ავიაგამანადგურებელი.

თვითმფრინავის გადარჩენა აღარ შეიძლებოდა. ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ მტრის ტერიტორიაზე პარაშუტით გადახტომაღა რჩებოდა.

შიო ბიძინაშვილმა ძალა მოიკრიბა, თვითმფრინავი პიკირებაზე გადაიყვანა, სწრაფად დაეშვა ძირს და ცეცხლმოდებული ავიაგამანადგურებელი მტრის ერთ-ერთი, ჯერ კიდევ დაუზიანებელი გემისაკენ გააქანა.

კიდევ რამდენიმე წამი და მთელი გარემო შეაზანზარა ფაშისტების გემში შეჭრილი ცეცხლმოდებული საბჭოთა თვითმფრინავის აფეთქების ხმამ.

საგანგებოდ შექმნილმა საზღვაო თვითმფრინავთა ავიაპოლკის ჯგუფმა მის წინაშე დასახული ამოცანა წარმატებით შეასრულა.

აეროდრომზე სამი საბჭოთა თვითმფრინავი აღარ დაბრუნებულა. როცა შიო ბიძინაშვილი მოიკითხეს, ბრძოლის მონაწილემ, საბჭოთა კავშირის გმირმა რიხლოვმა ცრემლმორეული თვალებით ამაყად წარმოთქვა:

— პოლკოვნიკმა შიო ბიძინაშვილმა გასტელოს უკვდავი გმირობა გაიმეორა!

ოთარ ქავთარაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.



# ვფურცლავთ ძველ გაზეთებს

აქ დაბეჭდილი სურათი—სახელმწიფო საბჭოს წევრის ილია ჭავჭავაძის გაცილება თბილისის რკინიგზის სადგურიდან პეტროგრადში დაიბეჭდა 1906 წელს გაზეთ „შრომის“ სურათებიან დამატებაში. წასვლის წინ ილიამ ხალხს განუცხადა, სახელმწიფო საბჭოში მე ვიქნები არა ერთი რომელიმე ვიწრო წრის წარმომადგენელი, არამედ საბჭოში დავიცავ მთელი ქართველი ხალხის, ყველა მშრომელის ინტერესებსო.

სურათში გამცილებელთა შორის დგას ილია.

მეორე ჩანახატი-შარჟი დაიბეჭდა 1908 წელს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში. ნახატს ასეთი წარწერა აქვს: „მამონას და პოეზიას— ორივეს ვუკმევ გუნდრუკსა!“




## საერთაშორისო აეროდრომი

მოსკოვის მახლობლად დაიწყეს ახალი საერთაშორისო აეროვაგზლის შერემეტიევო — 2-ის მშენებლობა.

თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, კომფორტაბელური აეროვაგზალი საათში 2.000-ზე მეტ მგზავრს გაატარებს. აეროვაგზლის საერთო ფართობი 85.000 კვადრატული მეტრი იქნება.

შერემეტიევო — 2 საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1979 წლის დამლევს.

## სატვირთო თვითმფრინავი

ამჟამად მიმდინარეობს გამოცდა ახალი საბჭოთა მძლავრი სატვირთო თვითმფრინავის, რომელიც გენერალური კონსტრუქტორის ოლეგ ანტონოვის ხელმძღვანელობით შექმნა კონსტრუქტორთა ჯგუფმა.

ან — 72 ყოველმხრივ მოხერხებული ხომალდია, იგ ევს ტონობით ტვირთს და საათში საშუალოდ 700 კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებს.

მას შეუძლია აფრენა და დაჯდომა არა მარტო ბეტონის, არამედ ჩვეულებრივ გრუნტზეც.

## მილიონი წელი

ამას წინათ უკრაინაში, კიროვოგრადის ოლქში იპოვეს გიგანტური მეტეორიტი.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს მეტეორიტი დედამიწაზე ჩამოვარდა... 80 მილიონი წლის წინათ.

# მედიცინის სიახლენი

### ზრდის ჰორმონი

ჩვენ ქვეყანაში დაიწყეს ზრდის დამაჩქარებელი ჰორმონის გამოშვება.

მისი მიღების მეთოდი დაამუშავეს ჰორმონების ექსპერიმენტული ინსტიტუტის სპეციალისტებმა.

ჰორმონი გამიზნულია იმ ბავშვების სამკურნალოდ, რომლებსაც შენელებული ზრდა აქვთ.

### საპარალი

საპარალი — ასე ჰქვია ახალ სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებას, რომელიც სამკურნალო მცენარეების საკავშირო-კვლევით ინსტიტუტში დაამზადეს.

საპარალის გამოცდამ ნათლად დაადასტურა მისი მაღალი ეფექტურობა ნევრასტენიის, ნერვიულ-ფსიქიკური, გრიპის შემდეგ ზოგიერთი გართულებებისა და სხვა დაავადებათა მკურნალობაში.

ახალი პრეპარატი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ღრმა ფიზიკური გადაღლილობის დროსაც.

### სამკურნალო სასმელი

უკრაინელმა სპეციალისტებმა შექმნეს მეტად საამო, ეგრეთ წოდებული გამაცოცხლებელი სასმელი, რომელსაც სამკურნალო თვისებებიც აქვს.

იგი ძირითადად გოგრისაგან მზადდება. უხვად შეიცავს ორგანიზმისთვის საჭირო ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, ნახშირწყლებს.

სასმელი სამკურნალოდ შეიძლება გამოიყენონ კუჭ-ნაწლავით დაავადებულმა ადამიანებმა.

### სამკურნალო პრეპარატი

მრავალძარღვას ფოთლებს ძველთაგანვე იყენებდნენ სახალხო მედიცინაში.

ხარკოვის ფარმაცევტიულ ქარხანაში ამას წინათ მრავალძარღვასგან დაამზადეს ახლი პრეპარატი, რომელსაც კუჭის წყლულის სამკურნალოდ იყენებენ.

ეფექტიანი სამკურნალო პრეპარატისთვის დიდი რაოდენობით საჭირო მრავალძარღვა სპეციალურ პლანტაციაში მოჰყავთ.

### ახალი პლანტაცია

საქართველოს ერთ-ერთ სუბტროპიკულ რაიონში გაგრაში ნესვის ხის პლანტაცია გააშენეს.

ეს ტროპიკული მცენარე მინით გადახურულ ვრცელ სათბურში იზრდება.

ნესვის ხის ნაყოფისგან ძირითადად მზადდება ძვირფასი პრეპარატი პაპაინი, რომელსაც ფართოდ იყენებენ მედიცინაში.

# ნარევი
# ნარევი
# ნარევი

●

საოველთაოდ ცნობილია, რომ 1980 წელს მოსკოვში გაიმართება ოლიმპიური თამაშები.

ჩვენი სამშობლო დედაქალაქი გაცხოველებით ემზადება ამ დიდი და საყოველთაო ასპარეზობისათვის.

ამჟერად ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთ საკითხს შევეხოთ.

მოსკოვი — 80-ის სიმბოლური თილისმის შექმნისათვის გამართულ კონკურსში, რომელიც საკავშირო ტელევიზიამ მოაწყო, ათიათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

წარმოდგენილ ნიმუშებს შორის ყველაზე მეტი ხმა მიიღო დათუნიამ — „ოლიმპიელი მიშა“. იგი დაამტკიცეს მოსკოვი — 80-ის ოფიციალურ სიმბოლურ თილისმად.

## ცხელ-ცხელი ამბები

### საკავშირო წიგნის პალატა

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს 15 სართულიანი შენობის აგება. ამ შენობაში საკავშირო წიგნის პალატა მოთავსდება.

შენობა გათვალისწინებულია 50 მილიონ წიგნზე, ჟურნალსა და გაზეთზე, რომლებიც საბჭოთა პერიოდში დაისტამბა.

საკავშირო წიგნის პალატა თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება. სათანადო ავტომატური მოწყობილობა მასში მუდმივად დაიცავს საჭირო ტემპერატურას, ჰაერის სინოტივეს, მოსპობს მტვერს.

### საოცარი შუშა

ლენინგრადის ერთ-ერთ ინსტიტუტში ამას წინათ შეძლეს მიეღოთ შუშის ნიმუში, რომელიც თავისუფლად უძლებს... ჩაქუჩის ძლიერ დარტყმას.

შუშის შემადგენლობა ჩვეულებრივია, სიმკვრივე მიღწეულია სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის ზემოქმედებით.

ამ საოცარ შუშას მალე გამოიყენებენ ჩვენი ქვეყნის საწარმოები.

### უნიკალური კორომი

აზერბაიჯანის სუბტროპიკულ რაიონში შემონახულია საბჭოთა კავშირში ერთადერთი რკინის ხის კორომი.

ეს ხე თავისი სიმაგრით მეტოქეობას უწევს რკინას. ძველად რკინის ხიდან ამზადებდნენ საქსოვი დაზგების სხვადასხვა დეტალებს.

ამას წინათ გადაწყდა უნიკალური ხის ჯიშები მოაშენონ ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში, სადაც ისინი მილიონობით წლის წინათ ხარობდნენ.

### იშვიათი პროფესია

ბათუმელ უფროს მეცნიერ მუშაკს ჯ. ჯინჭარაძეს მართლაც რომ იშვიათი და საინტერესო პროფესია აქვს: იგი მკურნალობს... დელფინებს.

ბათუმის დელფინარიუმში მეცნიერი დელფინებს ყოველდღიურად აძლევს საჭირო ვიტამინებს, ულებს სისხლის ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში უკეთებს ნემსებს, ულებს ელექტროკარდიოგრამას.

ასეთმა შეუნელებელმა ზრუნვამ ბევრი დელფინი გადაარჩინა დაღუპვას.

---

ნახატის ავტორია ცნობილი მხატვარი-გრაფიკოსი ვიქტორ ჩიჟიკოვი.

●

აკვნის სიმღერები არა მარტო პატარებს, თურმე დიდებსაც აწყნარებს.

ერთმა ბავარიელმა ფიზიოლოგმა დაადგინა, რომ მძიმე შრომის შემდეგ ჩვენი სუნთქვა იმის მიხედვითაც დგება ნორმაზე, თუ რა ბგერებს ვისმენთ.

აკვნის სიმღერის მოსმენისას სუნთქვა ნორმაზე დგება სამი წუთის შემდეგ, თუ ამ სიმღერას უმუსიკოდ მოვისმენთ — ექვსი წუთის შემდეგ, ჯაზის მოსმენის დროს კი სუნთქვის ნორმაზე დასაყენებლად, სულ ცოტა, რვა წუთია საჭირო.

აკვნის სიმღერების რიტმი, როგორც გამოირკვა, ემთხვევა ადამიანის მშვიდი სუნთქვის რიტმს.

### სუსტია თუ არა „სუსტი სქესი"?

ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში მსოფლიოს ეკრანები აავსო ამერიკული ფილმის „ტარზანის" მრავალრიცხოვანმა სერიებმა. მთავარ როლში — ტარზანში გადაღებული იყო ცურვაში ოლიმპიური თამაშების, ხუთგზის ჩემპიონი ჯონ ვეისმიულერი, ათეული წლის განმავლობაში მამაკაცური სრულყოფის იდეალის განსახიერება. ჯონ ვეისმიულერმა 1924 წელს ოლიმპიურ თამაშებზე 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შედეგით — 5.04,2 ოქროს მედალი მოიპოვა. ფინიშზე იგი ისეთი მოღლილი და გატანჯული იყო, რომ აუზიდან ამოსვლის დროს კინაღამ დაიხრჩო. ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, მოსწავლე გოგონა აშშ-დან შირლი ბაბაშოფი ამავე დისტანციაზე შედეგით — 4:16.87 მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ფინიშზე იგი ბედნიერი და ენერგიით სავსე გამოიყურებოდა. ასეთი საოცარი კონტრასტის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ 400 მეტრიანი დისტანცია ფიზიკურ ძალას, რომელიც ტარზანს საკმაოდ გააჩნდა, იმდენად არ თხოულობს, რამდენადაც ამტანობას და მოთმინებას, ეს თვისებები კი, როგორც დადგინდა, მეტწილად დამახასიათებელია ქალებისათვის, ვიდრე მამაკაცებისათვის.

უფრო გასაოცარია ქალთა არაჩვეულებრივი წარმატებები გრძელ დისტანციებზე სირბილში. მაგალითად, 53 წლის გერმანელმა ქალმა ე. ვესტფალმა — 100 კმ 10:09,45-ში გაირბინა, იგივე დისტანცია 73 წლის (!) შვეიცარიელმა როზა ფიოგელმა 15 საათის განუწყვეტელი რბენით გადალახა.

ყველაფერი ეს არ ეთანხმება ჩვეულებრივ წარმოდგენებს „სუსტ სქესზე", თუმცა სპორტის იმ სახეობებში, სადაც დიდი ფიზიკური ძალაა საჭირო, ქალს არ ძალუძს და ვერასოდეს შეძლებს, ფიზიოლოგიური თავისებურებების გამო, მეტოქეობა გაუწიოს მამაკაცს. მაგრამ იქ სადაც ყველაფერს ამტანობა, პლასტიკურობა, მოძრაობის რიტმი წყვეტავს, ქალს გარკვეული უპირატესობა აქვს მამაკაცთან. ეს უპირატესობა აიხსნება გულის კუნთების შედარებით დიდი სიძლიერით, აგრეთვე ჩონჩხის მუსკულატურის მეტი ელასტიკურობით. ქალისთვის დამახასიათებელია რიტმისადმი მეტი მიდრეკილება, დროში მოძრაობის უფრო სწორი განაწილება. ის რიტმული მოძრაობა, რომელსაც ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ფაინა მელნიკი დისკოს ტყორცნის დროს აჩვენებს, მიუღწეველი ნიმუშია დისკოს მტყორცნელი მრავალი მამაკაცისათვის.

ახლა შეიძლება ითქვას, რომ უთმობს რა მამაკაცებს ფიზიკურ ძალაში, „სუსტი სქესი" ფლობს გარკვეულ და მეტად საგრძნობ უპირატესობას მამაკაცებთან, ეს უპირატესობა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ცურვაში, სირბილში, ტანვარჯიშში, ფიგურულ სრიალში, თხილამურებში და სპორტის ზოგიერთ სხვა სახეობაში.

### ცნობილი კომიკოსი



ნინო მანფრედი თანამედროვე იტალიური კინოს ისეთ გამოჩენილ კომიკოს აქტიორთა გვერდით მოიხსენიება, როგორიცაა სორდი, გასმანი, ტონიაცი.

ნინო მანფრედის ცხოვრება საოცრად ჰგავს მის მიერ განსახიერებული გმირების ბედს. იგი დაიბადა და აღიზარდა ღარიბი გლეხის ოჯახში. მამამისი წელზე ფეხს იდგამდა, რომ ნინო ექიმი გამოსულიყო. მაგრამ მან ანატომიურ თეატრში ფეხის შედგმისთანავე უარყო ექიმობა და რომის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. ბავშვობიდანვე თეატრზე მეოცნებე ჭაბუკს არც ადვოკატობა იტაცებდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ნინომ გამოცდები ჩააბარა დრამატული ხელოვნების ეროვნულ აკადემიაში და ჩაირიცხა კიდეც. მას არც იურისპრუდენცია მიუტოვებია. მომავალი მსახიობი ერთდროულად სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებსაც იზეპირებდა და შექსპირის გმირების მონოლოგებსაც. ბოლოს, იურისტზე მსახიობმა გაიმარჯვა და ამიერიდან მთელი მისი ცხოვრება თეატრსა და კინოს დაუკავშირდა.

მანფრედს, როგორც ბრწყინვალე კინომსახიობს, პირველი აღიარება მოუტანა დინო როზის ფილმმა „ვენეცია, მთვარე და შენ" (1958 წ.) მანფრედი ამ როლში იმიტომ მიიწვიეს, რომ უფრო მეტად წარმოჩენილიყო მისი სახელგანთქმული პარტნიორის ალბერტო სორდის თავდაჯერებული ცინიზმი; მაგრამ მანფრედიმ მოიგო ეს აქტიორული ორთაბრძოლა. ეჭვიანმა სორდიმ მანფრედის არ აპატია ეს წარმატება და შემდგომში აღარ ისურვა მასთან პარტნიორობა.

მანფრედის მთავარი თემა ბედთან უიმედო ბრძოლაა. აქედან წარმოსდგება მსახიობის სპეციფიკური იუმორი — უიმედობის იუმორი. მანფრედის კერპი ჩარლი ჩაპლინია, იგი სულიერად ენათესავება მას. მაგრამ მანფრედი ამავე დროს საოცრად მრავალფეროვანია — მას შეუძლია ერთ შემთხვევაში წარმოგვიდგეს როგორც მკაცრი სატირიკოსი, ხოლო მეორე შემთხვევაში — თან ახლავს ელეგიური სევდა.

მანფრედის მიერ განსახიერებული ერთ-ერთი მწვავე სატირული იერსახეა ხოზე ლუისი ფილმში „ჯალათი", ფაშიზმის თემა მის სხვა ფილმებშიც გვხვდება; მანფრედი მგზნებარე ანტიფაშისტია.

მანფრედი გმობს კაპიტალისტურ საზოგადოებას. ამ მხრივ მეტად ტიპიურია ფილმი „პური და შოკოლადი", რომელშიც იგი იტალიელი ემიგრანტის როლს ასრულებს.

მანფრედიმ რეჟისორული მონაცემებიც გამოავლინა მის მიერ დადგმულ ფილმებში „ჯარისკაცის თავგადასავალი" და „იტალიური ხასწაული".

საბჭოთა მაყურებელმა ნინო მანფრედი შეიყვარა, როგორც უაღრესად მომხიბვლელი, სევდიანი კომედიური ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი, რომელიც ღრმად ჩასწვდა „პატარა ადამიანის" სულს და საზოგადოებას მოუთხრო მისი ნაღვლიანი ცხოვრების ამბავი.

# თითქმის უცნაური



ინგლისის ქალაქ ოქსფორდში მცხოვრებმა ვინმე რ. კენტუელმა ამას წინათ თავისებური რეკორდი დაამყარა: იგი, მცირეოდენი შესვენებებით, ექვსი დღე-ღამე ლაპარაკობდა იმას, რაც პირზე მოადგებოდა.

●

ამას წინათ საფრანგეთის ქალაქ ტულონის ერთ-ერთ უნივერმაღში დააკავეს შინამოსამსახურე ქალი, რომელიც კაბას იპარავდა.

ბინის გაჩხრეკის დროს დამნაშავეს უპოვეს სხვადასხვა მაღაზიაში მოპარული... 1.000-მდე კაბა.

●



გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოსცეს წიგნი „1. 000 თამაში ბავშვებისათვის".

წიგნში ბავშვებისათვის რეკომენდებულია ასეთი თამაშებიც: „მკვლელობა ცეკვის დროს", „გიჟების სახლი", „ბავშვების მოტაცება", „სამოქალაქო ომი", „ატომური დაბომბვა" და სხვ.

●



ჰოლანდიაში ამას წინათ სასამართლოს წინაშე წარსდგა ერთი „მზრუნველი" მამა, რომელმაც თავისი ახლად დაბადებული ვაჟიშვილი ოფიციალურ დოკუმენტებში გააფორმა როგორც... ქალიშვილი.

ბრალდებულმა ლაკონიურად განაცხადა: „ჩემი ვაჟიშვილი მინდოდა მეხსნა არმიაში სავალდებულო გაწვევისაგან."

●

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოძღვარმა რობერტ მარშალმა ახალი „მსოფლიო რეკორდი" დაამყარა: იგი ლოცვას კითხულობდა... 60 საათი და 31 წუთი.

●



დანიის ზოგიერთ ფერმებში მამლებს უკეთებენ... პლასტმასის სათვალეს.

ასეთი სათვალე, როგორც ფერმერები ირწმუნებიან, მამლებს მხედველობას უქვეითებს, ისინი ვეღარ ხედავენ მეტოქეს, აღარ ეძიძგილავებიან ერთმანეთს და სწრაფად იმატებენ წონაში.

●

ფრიზის კუნძულებზე დააპატიმრეს ერთი საქმოსანი. იგი სარფიან ფასებში ჰყიდდა მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ოკეანის უკუქცევის დროს დროებით თავისუფლდებოდა წყლისაგან.

●



ამას წინათ იტალიის პოლიციამ დააპატიმრა განგსტერთა ჯგუფი, რომელიც გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით იტაცებდა ადამიანებს.

დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ იტალიის პოლიციის ყოფილი მაღალი რანგის თანამშრომლები.

●

სკოტლან-იარდის თანამშრომლებმა ინგლისში აღმოაჩინეს უმსხვილესი იატაკქვეშა ლაბორატორია, რომელშიც ამზადებდნენ ნარკოტიკებს.

რთული თანამედროვე აპარატურა დამნაშავეებს საშუალებას აძლევდა ერთ საათში დაემზადებინათ... 36. 000 ცალი ნარკოტიკული ტაბლეტი.

●

ნიუ-იორკში რამდენიმე დღე დაეძებდნენ 5 წლის დაკარგულ ბიჭუნას.

ბიჭუნა, როგორც გამოირკვა, მოიტაცა... 12 წლის გოგონამ. მან ტელეფონით დაურეკა ბიჭუნას მშობლებს და გამოსასყიდად მოსთხოვა... ახალი კაბა და ფეხსაცმელები.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ ა რ ა ზ უ ლ ა დ: 3. დარვინის წინამორბედი ფრანგი ბუნებისმეტყველი; 8. სახელმწიფო ამერიკაში. 9. საოჯახო ნივთების შესანახი სახურავიანი დიდი ყუთი. 10. შესაფუთი ქურქლის წონა. 11. ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი, 12. ცელქი, მოუსვენარი. 13. ქალაქი და პორტი ამერიკაში. 15. მგალობელი ჩიტი. 17. ლიტერატურული ნაწარმოები. 19. ქართველი მოჭადრაკე. 22. თოხარიკი. 24. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი. 26. საბჭოთა კომპოზიტორი. 27. მოქმედი ვულკანი სიცილიაზე. 29. ინგლისის ძველი სახელწოდება. 30 სიმებიანი საკრავის ასახმიანებელი ძუაგაბმული ჯოხი. 31. ქართველი მხატვარი. 32. გონივრული საფუძველი, აზრი. 33. წყალხმელეთა ცხოველი.

შ ვ ე უ ლ ა დ: 1. ქართველი მწერალი-მთარგმნელი. 2. ცხვრის ჯოგი. 3. წვრილი და გრძელი ძელი. 4. სახამებლის დამშლელი ფერმენტი. 5. მაჰმადიანური რელიგია. 6. მინერალური ლურჯი საღებავი. 7. რიცხვის მეასედი ნაწილი. 14. ქიმიური ელემენტი. 16. მოწმობა განათლების მიღების შესახებ. 17. ქართული ოპერა. 18. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ზოლი. 20. მამაკაცის ხმა. 21. შვედი კინორეჟისორი. 23. ფრანგული მიუზიკ-ჰოლის მსახიობი. 25. მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა. 26. უყვავილო სპოროვანი მცენარე. 28. გალვივებული და გამხმარი ხორბალი. 30. ვიწრო ზოლი რისამე ზედაპირზე.

კროსვორდი შეადგინა ე. მეტრეველმა.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: ილია ჭავჭავაძე. მხატვარი გ ი გ ო გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი.

გადაეცა ასაწყობად 6/IV-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/V-78 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 54.000 შეკვ. 1042 უე 00731 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მხატვარი ჯემალ ლოლუა

# ქრესტომათია

ილიას მიხედვით



— აქ სად მოსულხარ?.. რაც დაჰკარგე და რაც დატოვე,
მის მაგიერი ტფილისშია აბა რა ჰპოვე?..



— სჭობს უყოლობა კაცისა, შენისთანისა ყოლასა.



— ვუჭყავ, რაც ენას მომადგება,
თუნდ მართალი, თუნდა ჭორი...

— ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?




— მშობელი შობილს არრას ეტყოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გრემი. თარხან არჩვაძის ფოტო

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა